



1998
2012 (ძამიჯი)

ISSN 2298-0202

**გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტი**

**GRIGOL ROBAKIDZE
UNIVERSITY**

**აკადემიური მაცნე
ACADEMIC DIGEST**

ღამატეზა
Special Edition

სამართალი, ბიზნესი და მართვა
LAW, BUSINESS AND MANAGEMENT

თბილისი TBILISI

2012

ბრიტოლ რობაჭიკიუს სახელობის უნივერსიტეტი

აკადემიური მაცნე

სამართალი
ბიზნესი და მართვა

დამატება

თბილისი 2012

სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)

გიორგი ღლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

რუდიგერ ანდრესენი	(კილი, გერმანია)
გოგი ბატიაშვილი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძაღვა	(თბილისი, საქართველო)
გურამ თევზაძე	(თბილისი, საქართველო)
უდო რაინჰოლდ იეკი	(ბოხუმი, გერმანია)
ნაკულ ვინოდ კარკარე	(პენსილვანია, აშშ)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინჰემი, დიდი ბრიტანეთი)
მურთაზ კვიციანი	(თბილისი, საქართველო)
ჰელმუტ კური	(ფრაიბურგი, გერმანია)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველო)
ტომას პაველკა	(პრალა, ჩეხეთი)
მარიკა პირველი	(შჩეჩინი, პოლონეთი)
ვეა პოდუბნიკოვა	(პრალა, ჩეხეთი)
ნინო ქემერტელიძე	(თბილისი, საქართველო)
ჰელმუტ შნაიდერი	(კასელი, გერმანია)
იან ჩაილი	(პრალა, ჩეხეთი)
დავით ძამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ელიკო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
დევი ჰვედელიანი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
პეტრ ჰაეკი	(პრალა, ჩეხეთი)

ადმინისტრაციული რედაქტორი:

გიორგი თოდრია (თბილისი, საქართველო)

წინამდებარე ჟურნალში „აკადემიურ მაცნე“ წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლისა და ბიზნესისა და მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ნაშრომები აქტუალურ საკითხებზე.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISSN 2298-0202

UDC (უაკ) 34 (051.2) ა-401

სარჩევი

სამართალი

სალომე ადგიშვილი

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი5

თინათინ ბუგიაშვილი

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი.....9

ჯემალ ბელქანია

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი.....16

შალვა ბერიკაშვილი

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....22

აჩილ კონცელიძე

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი.....28

ალექსანდრე ღლონტი

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....37

ბიზნესი და მართვა

ნატა ადგიშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....46

ალექსანდრე აზმაიფარაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი.....51

გვანცა ბურდული

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....57

შორენა ქურდაძე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....61

სოფიო ცენტერაძე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი.....66

თინათინ თინიკაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი.....69

სამართალი

სალომე ადგიშვილი

კრივლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი

საქართველოს სასაზღვრე უსაფრთხოების დაცვის სამსახურში არსებული პირობების შესაბამისობა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მისამართებთან

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა [1, მე-17 მუხლი]. წამება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დაცვის ობიექტია. კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით, არაერთ შემთხვევა დაექვემდებარეს წამებას, არადადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

წამების, არადადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა ნათლად მოითხოვს დაუსჯელობასთან ბრძოლას ყველგან, სადაც ის დარღვეულია. მის გარშემო დღეის მდგომარეობით წარმოსთბილი შემთხვევები დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების მიერ ბოლო დროს მიღებული საჩივრების ვიდრე რაოდენობასთან, რომელთა თანახმადაც სახელმწიფოები ჯეროვნად ვერ ახორციელებენ არასათანადო მოპყრობის წამდენ პირისათვის სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპით, როგორც წესი, ადამიანის უფლებათა დაცვა ხდება ქვეყნის შიგნით, ხოლო თუ ქვეყნის შიგნით არ არის დაცული ადამიანის უფლებები, მაშინ იგი წყდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო დონეზე. ევროპული სასამართლოს ისტორიაში ბოლო დროს სარჩელთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ეს განპირობებულია 1989 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით. ნათელია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ადამიანის უფლებები სათანადო დონეზე დაცული ნამდვილად არ არის. საქართველოში ევროსასამართლოს იურისდიქცია 1999 წლიდან ამოქმედდა, რამაც შექმნა აქტიური ბაზა საიმისოდ, რომ საქართველოს მოქალაქეებს ეწარმოებინათ საქმეები მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად.

საქართველოს მაგალითზე მრავალი საქმის განხილვა შეიძლება, რომელიც ეხება კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას ციხის პირობებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპულ სასამართლოს ვერდიქტის გამოტანისას

გათვალისწინებული აქვს კონვენციის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებები. ნეგატიური ვალდებულების დარღვევა – სახელმწიფო ორგანოებმა არ უნდა გამოიყენონ მესამე მუხლით გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები. პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას გაატაროს ცალკეული ქმედითი ღონისძიებები ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის მიზნით [2, 2]. საქართველოს შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს მესამე მუხლის ნეგატიური ვალდებულების დარღვევის დადასტურების პრეცედენტი. თუმცა სახეზე გვაქვს არაერთი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფოს აკისრია თითქმის აბსოლუტური ვალდებულება, პატიმრობისას უზრუნველყოს პირის ჯანდაცვა და საჭიროების შემთხვევაში მისი მკურნალობა [3, 62]. საქმე, „პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულის მიმართ ციხის აღმინისტრაციის მხრიდან არ განხორციელდა სათანადო სამედიცინო მკურნალობა. აღეკავატიური სამედიცინო მკურნალობის არ ან არასათანადო დონეზე არსებობა იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას და ხშირად მის სიკვდილსაც კი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ პირდაპირ განაცხადა: “მხედველობაში იქნა რა მიღებული სტრასბურგის სასამართლოს წარმოებაში არსებული დაახლოებით 40-მდე განაცხადი საქართველოს წინააღმდეგ, რომლებიც უკავშირდება საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში არასათანადო სამედიცინო მკურნალობას, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზეა სისტემური პრობლემა, რომელიც უკავშირდება ციხეებში არსებულ პატიმრებთან არასათანადო სამედიცინო მომსახურების აღმოჩენას” [4]. საბოლოოდ რომ ვთქვათ, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა.

ბუნებრივია, რომ პიროვნების დაპატიმრება და დაკავება ყოველთვის იწვევს ტანჯვას. ღონისძიებები, რომლებიც პიროვნებას თავისუფლებას ართმევს, შესაძლოა შეიცავდეს ასეთ ელემენტს და ეს მესამე მუხლის აბსოლუტურ არსს არ ეწინააღმდეგება. საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლის ქმედება იმ შემთხვევაში არღვევს არასათანადო მოპყრობის, წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას, თუ იგი ცდება ტანჯვისა და დამცირების გარდაუვალი ელემენტის ზღვარს. წამების აკრძალვა თავისი არსით აბსოლუტური უფლებაა. სტრასბურგის სასამართლოს კრიტერიუმებით, ქმედება რომ წამებად ჩაითვალოს, აუცილებელია კუმულაციურად არსებობდეს: 1. განსაკუთრებული სისასტიკე და ტანჯვა გარკვეული დროის განმავლობაში; 2. განზრახი ქმედება; 3. მიზანი – ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება; ან

მსხვერპლის დახჯა. ასევე აუცილებელია სისასტიკის მინიმალური ზღვარი ქმედების მესამე მუხლით კვალიფიკაციისათვის.¹

თავდაპირველად, ევროპული სასამართლო ყოყმანობდა დაედგინა, რომ ციხის პირობები სადავო საკითხი იყო კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით. შემდგომში ადამიანის უფლებების სტანდარტების ზრდამ და პრეცედენტული სამართლის განვითარებამ გავლენა იქონია ევროპულ სასამართლოზე. შედეგად დადგინდა, რომ პიროვნების მუდმივი მოთავსება ისეთ პირობებში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს, შესაძლოა არღვევდეს კონვენციის მესამე მუხლის დებულებებსაც.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი პირობები. კოდექსში შავით თეთრზე არის დაფიქსირებული პირის უფლებები – იცხოვროს ნორმალურ პირობებში, რომელიც არ შეურაცხყოფს მის ღირსებებს. საქმეში, „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“, დარღვეულია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და საცხოვრებელი პირობები. განმცხადებლის მიხედვით 48 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე საკანში 60-70 პატიმარი იმყოფებოდა. საპირფარეშო არ იყო საკნის დანარჩენი სივრცისგან იზოლირებული, არ იყო ბუნებრივი განათება და იზოლაცია; საფხულში საკანში ტემპერატურა 35-40 გრადუსს აღწევდა; არც ერთ პატიმარს არ ჰქონდა გასეირნების უფლების გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი შემთხვევების დროს შეიძლება ითქვას, რომ პატიმრობის პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მესამე მუხლის დებულებების დარღვევა. სწორედ ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ გათვალისწინებული სიტუაციის თანახმად, ადგილი ჰქონდა მესამე მუხლის პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის ფაქტებს. სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა ეცხოვრა, დაეძინა და ტუალეტით ესარგებლა ერთსა და იმავე საკანში სხვა დანარჩენ პატიმრებთან ერთად, საკმარისი იყო გამოეწვია ტანჯვა. ეს ინტენსივობით აღემატება ტანჯვის იმ დონეს, რომელსაც ციხის პირობებში ყოფნა გულისხმობს. ასევე გამოეწვია შიშის და ტკივილის გრძნობა, რაც განსასჯელის შეურაცხყოფისა და დამცირებისათვის საკმარისია.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, პოზიტიური ვალდებულებები არ არის შედეგზე ორიენტირებული. ისინი გულისხმობენ მოცემულ სიტუაციაში

¹ სისასტიკის მინიმალური ზღვარი, როგორც ტერმინი, დიდი ხანია დამკვიდრებულია ევროსასამართლოს პრაქტიკაში. იმისათვის, რომ ქმედება კონვენციის მესამე მუხლის დარღვევად დაკვალიფიცირდეს, სახეზე უნდა იყოს არასათანადო მოპყრობის მაღალი ინტენსიობა. ყოველი ახალი შემთხვევის დროს კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე ხდება შეფასება ჯდება თუ არა ქმედება კონვენციის მესამე მუხლის ფარგლებში.

სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმუმის გაკეთებას. სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ პოზიტიური ვალდებულებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და ადამიანის უფლებების სტანდარტების ზრდასთან ერთად სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებათა სიაც შეიძლება გაიზარდოს [3, 87].

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში იკლებს საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელთა რაოდენობა არა მხოლოდ პატიმრობის პირობების დარღვევის გათვალისწინებით, არამედ ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხითაც.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995.
2. Mowbray A. 2004. The Development of Positive Obligations under the ECHR by the European Court of Human Rights.
3. ბოხაშვილი ბ. 2009. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები. *ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები*. კორკელია კ. (რედ). თბილისი.
4. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-3 ზოგადი კომენტარი.

თინათინ ბეგიაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი

ფრენშაიზინგის ხარისხის კონტროლი

შესავალი

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება საქართველოსთვის, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა დანარჩენი ქვეყნებისათვის, შედარებით ახალია. თუმცა, მიუხედავად მისი სპეციფიკური და ქართული ენისთვის უცხო სახელწოდებისა, რაც მის ირგვლივ გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის საზოგადოების დიდ ნაწილში, სინამდვილეში ფრენშაიზინგთან შეხება გაცილებით უფრო ხშირად გვიწევს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია. თუნდაც მაშინ, როდესაც, როგორც რიგითი მომხმარებლები, მიემართავთ ხოლმე საქართველოში მოქმედ სავაჭრო ობიექტებს უცხო საწარმოთა სასაქონლო ნიშნით დამზადებული პროდუქციის შესაძენად. ისინი ძირითადად სწორედ რომ ფრენშაიზინგული გზით გვაწვდიან აღნიშნულ საქონელს ან გვიწევენ მომსახურებას, რადგანაც ფრენშაიზინგული სისიტემა, თავის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება საცალო ვაჭრობისა და კვების ინდუსტრიაში, საქონლის წარმოება – გასაღებაში, სარესტორნო ბიზნესში, საბანკო მომსახურებასა და მომსახურების სხვა სფეროებში.

ტერმინი “Franchise”, ქართულად “ფრენშაიზინგი” ფრანგული წარმოშობისაა, რაც შეღავათს, პრივილეგიას ნიშნავს. ანალოგიური მნიშვნელობის მატარებელია ინგლისური ტერმინი “Franchising”. ისტორიულ ფესვებს ფრენშაიზინგი იღებს შუა საუკუნეებიდან, როდესაც დიდ ბრიტანეთში სამეფო კარზე ექსკოპოსებისა და ბარონებისთვის ვაჭრობის ადგილებში გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებით მინიჭებული პრივილეგიების სახით იყო ცნობილი. შედარებით თანამედროვე სახით ფრენშაიზინგის პირველი ელემენტები წარმოიშვა აშშ-ში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მისი განვითარება დაიწყო 70-იანი წლების ბოლოს. პირველად აღნიშნული სისიტემის გამოყენება “ზინგერის” კომპანიამ დაიწყო 1898 წელს. მას მოჰყვა “ჯენერალ მოტორსი”, “კოკა-კოლა”, “პეპსი” და სხვა. მისი ბუმი 1950 წლებიდან დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო აშშ-ში სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონის მიღებამ. ამ პერიოდში აღმოცენდა კვების ცნობილი კომპანიები (მაკდონალდსი). ფრენშაიზინგის საშუალებით ამოქმედნენ ასევე სასტუმროს ბიზნესში. ევროპასა და იაპონიაში ფრენშაიზინგი გაცილებით გვიან დაინერგა, მაგრამ დღესდღეობით მისი როლი

ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობებში მეტად მზარდია. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გაეროცდელდა 80-ზე მეტ ქვეყანაში და აღიარება პპოვა, როგორც სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელმა ობიექტმა, მაგრამ ცალკეული კანონმდებლობა ფრენშაიზინგის შესახებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანში იქნა მიღებული, დანარჩენ ქვეყნებში კი მისი რეგულირება სახელშეკრულებო სამართლით ხდება.

ფრენშაიზინგის ცნება

„ფრენშაიზინგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ბიზნესის წარმოებისა და ორგანიზების ისეთი ფორმა, რომლის თანახმად მეწარმეთაგან ერთ-ერთი (ფრენშაიზის მიმცემი) შეიმუშავებს რა საქმის წარმოების მოდელს, ყიდის ამ მოდელის მეშვეობით ბიზნესის წარმოების უფლებას მეორე მეწარმეზე (ფრენშაიზის მიმღებზე). უმეტეს შემთხვევაში ფრენშაიზის მიმღები მოიპოვებს უფლებას გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის მოდელი გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით ფრენშაიზის მიმცემი სთავაზობს ფრენშაიზის მიმღებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ბიზნეს-კონცეფციას, ხოლო ფრენშაიზინგის მიმღები ყიდულობს ფრენშაიზის მიმცემის სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდებისა თუ სხვა განსაკუთრებულ უფლებათა გამოყენების და საქონლის თუ მომსახურების გაყიდვის უფლებას, განსაზღვრული საფასურის გადახდის პირობით“ [2, 6].

საქართველოში ფრენშაიზინგის სისტემა შესწავლემა სამოქალაქო სამართლის კურსში. მისი ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლში: „ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.“ „ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი უფლებები – სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, სამრეწველო ნიშნები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია და სხვა“ [1, 138].

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით ერთი მხარე, ფრენშაიზის მიმცემი გადასცემს მეორე მხარეს – ფრენშაიზის მიმღებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მოდელს და უზრუნველყოფს მუდმივი მხარდაჭერით მის დანერგვასა და განვითარებას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ხოლო ფრენშაიზის მიმღები ყიდის საქონელს ან ეწევა მომსახურებას ფრენშაიზის მიმცემის საფირმო სახელწოდების, სასაქონლო ნიშნისა და სხვა განსაკუთრებულ უფლებათა გამოყენებით. ფრენშაიზინგი ეხმარება

ფრენშიზინგის მიმცემს, სწრაფად გააფართოოს ბიზნესი სხვათა კაპიტალისა და ადამიანური რესურსების მოზიდვის ხარჯზე, ხოლო ფრენშიზინგის მიმღებს საშუალებას აძლევს, გახდეს დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი და განავითაროს ბიზნესი ფრენშიზის მიმცემის გამოცდილების დახმარებით. ამასთან, ფრენშიზის მიმღები იყენებს უკვე ნაცად და აპრობირებულ ბიზნეს-მოდელს, ბაზარზე ცნობად საფირმო სახელწოდებასა და სასაქონლო ნიშანს, ზოგადად დროს, რაც დასჭირდებოდა ახალი საფირმო სახელწოდებისა და მის მიერ მოზიდული რესურსებით ბიზნესის დაწყებას, რომელიც ყოველთვის არ ამართლებს.

ხარისხის კონტროლის მნიშვნელობა

ფრენშიზინგის ხელშეკრულების პერიოდში, ფრენშიზის მიმცემი კონტროლს უწევს ფრენშიზის მიმღების საქმიანობის ხარისხს, რადგან ფრენშიზის მიმცემს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ნებისმიერი კომერციული საწარმო, რომელიც მის სახელს ატარებს, შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს. ხარისხის არსებობა ყველაზე მეტად ფრენშიზინგული ქსელისთვისაა მნიშვნელოვანი, რადგან სწორედაც რომ ფრენშიზის მიმღებნი ქმნიან ბრენდის იმიჯს. ფრენშიზის მიმცემი სწორედ მათ აძლევს ლიცენზიას უშუალო კონტაქტში იმყოფებოდნენ კლიენტებთან. სწორედ ამიტომ, ფრენშიზის მიმცემმა დახმარება უნდა გაუწიოს ფრენშიზის მიმღებს. ამ პროცესის პირველ ეტაპს პოტენციური ფრენშიზის მიმღების შერჩევა წარმოადგენს. ფრენშიზის მიმცემმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად შეუფერება ფრენშიზის მიმღები ამ საქმეს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კი ფრენშიზის მიმღები გადის აუცილებელ წინასწარ სწავლებას, რათა, მუშაობის პერიოდში არ დაეცეს საქონლის ხარისხი ან მომსახურების საერთაშორისო დონე. ამის შიში უამრავი დიდი კომპანიის მფლობელს უჩნდება, რასაც შედეგად მათი ბრენდის დასუსტება მოჰყვება. შესაბამისად, ფრენშიზინგს კარგად დაგეგმვა სჭირდება ხარისხის კონტროლის მიზნით, რათა მოხდეს შესაბამისი სტანდარტების, ტრეინინგის მეთოდების, საექსპლუატაციო სახელმძღვანელოების, შიდა პოლიტიკისა და შესაბამისი პერსონალის განსაზღვრა. „სისტემა, რომელსაც არ აქვს ეფექტური ხარისხის კონტროლის სტრატეგია, კონკურენტუნარიან ბაზარზე ვერ გაიდგამს ფეხებს“ [7, 30]. შესაბამისად, ფრენშიზინგის მიმღებს ევალუება სრულიად დააკაყოფილოს ის სტანდარტები, რომელიც დაწესებულია ფრენშიზინგის გამცემის მიერ. ფრენშიზის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ფრენშიზის მიმღებმა უნდა დაიცვას ფრენშიზის მიმცემის რეკომენდაციები, რომელიც ეხება საწარმოს საქმიანობის ორგანიზებას, განსაკუთრებით კი, საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში დაფიქსირებული რეკომენდაციები. ფრენშიზის მიმღები

ვალდებულია დაწეროს ყველა ცვლილება, გაუმჯობესება, სრულყოფა ან სიახლე, რომელიც შეტანილია საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში.

ხარისხის კონტროლის სტანდარტები

„შეიქმნება, რომ ფრენშაიზის მიმცემს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ფრენშაიზის მიმღების საწარმოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის განხორციელება ფრენშაიზინგის სისტემის ორივე მხარის ინტერესების დასაცავად. მიუხედავად ამისა, საჭიროა დარწმუნება, რომ ასეთი მოთხოვნა არ არღვევს ეროვნულ კანონმდებლობას კონკურენციის შესახებ. მეორეს მხრივ, ეროვნული კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ ხშირად მოითხოვს ლიცენზიარისაგან მისივე ლიცენზირებული სასაქონლო ნიშნების გამოყენების გაკონტროლებას უფლებების განხორციელებისა და სალიცენზიო კონტრაქტების ძალაში შენარჩუნების მიზნით“ [2, 125]. მაგალითად, აშშ-ს სპეციალური კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ დაუშვებელია მფლობელის გარდა სხვამ გამოიყენოს მისი სასაქონლო ნიშანი, მფლობელის მხრიდან მისი საქონლისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის გარეშე. ამ კანონის თანახმად ეს საუაღდებულოა და წინააღმდეგ შემთხვევაში ფრენშაიზის მიმღებს არ ექნება კანონიერი უფლება გამოიყენოს ფრენშაიზის მიმცემის სასაქონლო ნიშანი, საფირმო სახელწოდება და სხვა. შესაბამისად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ხარისხის კონტროლის სტანდარტები.

რატომ აქვს “შაკონაღდისს” პამპურგერს ერთნაირი გემო თბილისსა თუ ნიუ-იორკში? რატომ ითვლება “მერი მეიდის” (Merry Maids) თანამშრომლების მიერ დალაგებული სახლები ერთნაირად ყველაზე მაღალი ხარისხის მომსახურებად სიეტლშიც, ატლანტაშიც და ბოსტონშიც? პასუხი სწორედ ხარისხის კონტროლის სისტემაშია, რომელსაც ადგენს ფრენშაიზის მიმცემი და ასრულებს ფრენშაიზის მიმღები. ეს სისტემა შეიძლება შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან:

- **ტრენინგები**, რომლებიც დღესდღეობით ძირითადად სამ კატეგორიად იყოფა: 1. წინასწარი მთავარი ტრენინგები, სადაც ფრენშაიზის მიმღები შეისწავლის ძირითად საოპერაციო სისტემებსა და ბიზნესის პროცედურებს. 2. შიდა ტრენინგები, როდესაც ფრენშაიზინგის მიმღები ეცნობა სხვა წარმატებულ ფრენშაიზის მიმღებთა გამოცდილებას. 3. მიმდინარე ტრენინგები, რომლებიც ფრენშაიზის მიმღებს უზარდებამთელი კარიერის განმავლობაში. ეს შეიძლება გაიმართოს წელიწადში ერთხელ, რათა ფრენშაიზის მიმღებთ გააცნონ ახალი განვითარებები, პროდუქცია და სერვისები.

- **კლიენტებთან ურთიერთობა** ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, რომელიც ფრენშიაის მიმღებმა უნდა იცოდეს. პერსონალმა მაქსიმალურად კარგად უნდა ისწავლოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კლიენტებთან კარგი ურთიერთობის დამყარება ბიზნესის განვითარებისთვის.
- **ფასების სტრატეგიები.** ფრენშიაის ხელშეკრულების უნიკალურობა იმაში გამოიხატება, რომ ფრენშიაის მიმცემს შეუძლია ფრენშიაის მიმღებს შესთავაზოს ფასების სტრატეგიები, შესთავაზოს გარკვეული ფასების სტრუქტურები და აუხსნას ფასების განსაზღვრის მიზეზები, თუმცა საბოლოო ფასებს მაინც ფრენშიაის მიმღები აწესებს.
- **უძრავი ქონების კრიტერიუმები.** ფრენშიაის მიმცემა სთავაზობს გარკვეულ იდეებს საწარმოს სათანადო ადგილმდებარეობის არჩევისას. ძირითადად, ფრენშიაის მიმღებს სთხოვენ აარჩიოს ორი ან სამი საუკეთესო ადგილი, რომლებზეც შემდეგ ფრენშიაის მიმცემა აძლევს რეკომენდაციებს. ასეთ დრო აუცილებელი ხდება ამ ადგილში მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, მომხმარებელთა ასაკის და მსგავს ობიექტებში ფასების გადახედვა.
- **თანამშრომელთა დაქირავება და დათხოვა,** რომელზეც შესაბამის ინფორმაციას იღებს ფრენშიაის მიმღები სხვა წარმატებულ ფრენშიაის მიმღებთა გამოცდილებიდან. ისინი ასევე იღებენ სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დახცვან თანამშრომელთა დაქირავებისას.
- **კონსტრუქცია და დიზაინი.** ფრენშიაის მიმცემა ასევე გადასცემს შესაბამის შეფუთვას, დიზაინს და არქიტექტურულ ნახაზებს.
- **აღჭურვილობის სპეციფიკაციები,** რომელშიც იგულისხმება პასუხები კითხვებზე თუ რა სახის აღჭურვილობა უნდა დაიდგას მაგალითად წწარაფი კვების ობიექტში? რა არის საჭირო ბინების დასუფთავების ბიზნესისთვის? ამ შეკითხვებზე პასუხს თავად ფრენშიაის მიმცემა გასცემს.
- **ბიზნესის სამართლებრივი ასპექტები.** ფრენშიაის მიმცემს სურს ფრენშიაის მიმღებმა დაიცვას შესაბამისი წესები და კანონები, ამიტომ ის უამრავ ფულს ხარჯავს იმაში, რომ დარწმუნდეს ნამდვილად კარგად ესმის თუ არა ფრენშიაის მიმღებს ის კანონები, რომლებსაც ცხად ვეალება საქმიანობის განხორციელებისას.

ფრენშიაის მიმცემმა მთელი ძალისხმევა უნდა მოახმაროს საწარმოს სათანადო ფუნქციების ორგანიზებას. თუ ფრენშიაის მიმცემა ვარაუდობს მაქსიმალური სარგებლის მიღებას თავისი ფრენშიაისული საწარმოს საქმიანობიდან, მისი განსაკუთრებული ტერიტორიის ფარგლებში, ამ მიზნით იგი ეცდება ხელი შეუწყოს ფრენშიაის მიმღებს. იმისათვის, რომ ფრენშიაის მიმცემს მიეცეს შესაძლებლობა დარწმუნდეს, რომ მისი მოთხოვნები სრულდება, ფრენშიაისი ხელშეკრულება უზრუნველყოფს მის უფლებას, განახორციელოს საწარმოს

პერიოდული საინსპექციო შემოწმება. შესაძლოა გავაღისწინებული იყოს ფრენშიაის მიმცემის უფლებაც, ჩაატაროს ფრენშიაის საწარმოს თანამშრომელთა და კლიენტთა გამოკითხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, ფრენშიაის მიმცემი დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ ფრენშიაის მიმღების საწარმოს საბოლოო პროდუქცია პასუხობდეს მის მიერ დადგენილი ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს. ფრენშიაის ხელშეკრულებით ფრენშიაის მიმღებს შეიძლება მოეთხოვოს, რომ არ გაეიდოს სხვა საქონელი, გარდა იმისა, რომელმაც დაიმსახურა ფრენშიაის მიმცემის მოწონება. ფრენშიაის მიმცემი დაინტერესებულია იმით, რომ არ დაუშვას ფრენშიაის მიმღების მიერ რაიმე სახის საქონლის გაყიდვა, რომელსაც, მისი აზრით, ექნება უარყოფითი გავლენა ფრენშიაის სისტემაზე, ან გაუწევს კონკურენციას მის საკუთარ სქონელს. ასეთი შეზღუდვა შეიძლება გახდეს ეროვნულ ან რეგიონალურ კანონმდებლობასთან კონფლიქტის მიზეზი. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს გონივრულია, თუ მწარმოებლის მიერ საქონლის ასეთ გაყიდვას ან მომსახურების გაწევას შეუძლია გაუწიოს კონკურენცია საქონელს (მომსახურებას), რომელსაც აწარმოებს თვით ფრენშიაის მიმცემი, უარყოფითად იმოქმედოს ფრენშიაის სისტემის რეპუტაციაზე, ან დამატებითი პასუხისმგებლობა დააკისროს ფრენშიაის მიმცემს.

დასკვნა

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სისტემას თან ახლავს გარკვეული მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები, კერძოდ, ფრენშიაის მიმღები ხშირად განიცდის გადამეტებულ კონტროლს ფრენშიაის მიმცემის მხრიდან, თავის მხრივ, ფრენშიაის მიმცემი კი წინასწარ ვერასდროს იქნება სრულიად დარწმუნებული, აღმოჩნდება თუ არა ფრენშიაის ახალი მიმღები კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოცემულ სფეროში, რათა არ შეიღახოს ფრენშიაის მიმცემის საქმიანი რეპუტაცია, მას უამრავი დადებითი თვისებაც აქვს. კერძოდ, ფრენშიაის მიმღები იღებს ნაცად კომერციულ საქმიანობას მინიმალური რისკ-ფაქტორებით, უკვე აპრობირებული ბიზნეს-პროცესებით, კონცეფციებით, ტექნოლოგიებით და დანადგარებით; ბაზარზე ცნობად და ფართოდ რეკლამირებულ საფარშო სახელწოდებას და სასაქონლო ნიშანს. ხოლო ფრენშიაის მიმცემს ეძლევა ბაზარზე სწრაფად დამკვიდრებისა და სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მეტი შესაძლებლობა, მისი საკუთარი სასაქონლო ნიშნით პროდუქციის წარმოებისა თუ მომსახურების სწრაფად გაფართოების და მეტი პოპულარიზაციის შანსი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე; დამატებითი შემოსავლის იოლად მიღების შესაძლებლობა; დროისა და რესურსის დაზოგვა და სხვა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ზ. 1999. *კადღებულებითი სამართალი*. თბილისი: სამართალი.
2. ქოქიაშვილი მ. 2009. *ფრენშიზინგი და მისი სამართლებრივი რეგულირება*. თბილისი: მერიდიანი.
3. ფირცხალაიშვილი ა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. *ფრენშიზინგი*. [www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-
www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d)
4. საქართველო, საქართველოს პარლამენტი. 2012. კანონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წელი, №786-III. თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
5. Barkoff R. M. 2008. *Fundamentals of Franchising*. USA. American Bar Association.
6. Justis R.T. and Vincent W.S. 2001. *Achieving Wealth through Franchising*. USA. Adams Media.
7. Sherman A.J. 2011. *Franchising and Licensing: two powerful ways to grow your business in any economy*. USA. AMACOM.
8. Franchising.ua. *Основы бизнеса. Ведение бизнеса. Проверка и контроль качества обслуживания*. <http://ru.franchising.ua/osnovy-biznesa/764/proverka-kontrol-kachestva-obslujivaniya/> (22.02.12).

ჯემალ ბელქანი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი

ტურისტული მომსახურება და მისი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

შესავალი

ტურიზმი როგორც ქვეყნის ეკონომიკის, საერთაშორისო კავშირების თუ საქმიანი აქტივობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყანაში, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ეს სფერო თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფადგანვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, საშუალო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. ტურიზმი უფრო სწრაფად ქმნის ახალ საშუალო ადგილებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები, იძლევა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბლანსების საშუალებას. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ტურისტული მომსახურების სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო დონეზე ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ხდება კონვენციების, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების საფუძველზე. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ტურიზმის განვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაში მიიღეს პელსინკის შეთანხმებებში, რომელიც 1975 წლის 1 აგვისტოს იქნა ხელმოწერილი. გაეროსთან დაფუძნებულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (World Tourist Organization-WTO), რომელიც დაარსდა 1975 წლის 2 იანვარს და დღეისათვის ყველაზე ცნობილი და აღიარებულია ტურისტულ სამყაროში. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს, ისეთი ნორმებისა და წესების შემუშავება, რომლებიც გამაართივებს საერთაშორისო საზოგადოებაში ტურისტების გაცვლა გამოცვლას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მანილის საერთაშორისო კონფერენცია ტურიზმის შესახებ, რომელიც გაიმართა 1980 წელს და მასში მონაწილეობდა 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი, კონფერენციამ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ტურიზმის განვითარებისათვის; მოთხოვნილებებისა და წინადადებების რეგულირება; კადრების მომზადება ტურიზმის ინდუსტრიისათვის და სხვ [3, 19].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე 1985 წელს მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა. საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოში ტურიზმის განვითარების დაქარაუბებისათვის და 1994 წლის 27 იანვარს მიიღო დადგენილება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ. [3, გვ-20] ტურისტული ქარტია და ტურისტის კოდექსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებებია, მათში გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ტენდენციები და ნაჩვენებია ტურიზმის ადგილი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ცხოვრებაში ორივე დოკუმენტი 14 მუხლისაგან შედგება, რომლებიც მოიცავენ ტურიზმის ყველა მიმართულებასა და ტურისტის ქცევის წესებს.

ტურიზმის დარგში პირველ პარლამენტაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1989 წლის აპრილში გაიმართა ჰააგაში, აღინიშნა, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ხალხთა და ცალკეულ პირთა ურთიერთგაგების გაღრმავებას, წარმოდგენს მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ელემენტს [3, 7].

1999 წლის 1 ოქტომბერს კი მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა "ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი" ეს დოკუმენტი ემყარება ამჟამად მოქმედი კოდექსების იდეებს და აყალიბებს მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს [1, 211].

ბევრ ქვეყანაში შემოღებულია ტურიზმის მარეგულირებელი ნაციონალური კანონები, რომლებშიც განსაზღვრულია განვითარების ძირითადი კონცეფციები და პრინციპები.

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის დარგის ინსტიტუთურ მოწყობას და საკანონმდებლო ბაზას: საქართველოს ტურიზმის დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

ს. 2

სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია: მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მეწარმეებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა, ტურისტული, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ხელშეწყობა. 2010 წლის 10 აგვისტოდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განხორციელდა სასაქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და, როგორც მისი უფლებამონაცვლე, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, რომლის მიზნები და ამოცანებია-საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე, ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში აღამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

ახლა კი გავეცნოთ უშუალოდ საქართველოს სამართლებრივ ბაზას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში: 1997-1999 წლებში, საქართველოში, ამ დარგის სამართლებრივად უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა არაერთი კანონი და ნორმატიული აქტი. 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ტურიზმისა და კურორტების შესახებ”, რომელიც ფუძემდებლური აქტია ტურიზმისა და კურორტების კანონმდებლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული კანონის მიღების დროს ქვეყანაში რთული და დღევანდელისაგან განსხვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იყო. ტურიზმი კი მსოფლიოში ცნობილია როგორც სწრაფად განვითარებადი დარგი, ცხადია ამ განვითარებას ბევრი ცვლილება მოსდევს, რომლებიც თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ განვითარებასთან. ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და ტურისტული საქმიანობის რეგულაცია უნდა წარმართოს დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანომ-ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ, მაგრამ მოქმედებული სამართლებრივი ბაზა ამ საქმიანობის ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობას ხდუდავს. ასევე მნიშვნელოვანია, 1998 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი “კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ”. 1998 წლის 24 დეკემბერს კი მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ” მნიშვნელოვანია ასევე 2010 წლის 26 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კანონი “თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, რომლის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში, სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო

და სხვა შედეგათვის. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობას: საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეთერთმეტე თავი სწორედ ტურისტულ მომსახურებას ეძღვნა.

ტურისტულ სააგენტოსა და მოგზაურს შორის გაფორმებული დოკუმენტი, ეს არის დაცვის სამართლებრივი ბერკეტი ორივე მხარისათვის, ამიტომაც იგი უნდა იყოს მომგებიანი და უსაფრთხო. მოგზაურმა უნდა იცოდეს თუ რისი უფლება აქვს მას კანონით მინიჭებული, ხოლო ტურისტულმა სააგენტომ უნდა იცოდეს რა შეუძლია მოსთხოვოს მას მოგზაურმა და რა გაუთვალისწინებელი ხარჯები შეიძლება დააწვეს მას ხელშეკრულების მეორე მხარის მოთხოვნის თანახმად. ტურიზმის ხელშეკრულება განსაზღვრავს მომსახურების ურთიერთობის მონაწილეთა უფლება მოვალეობებს და იგი საბანკო მომსახურების, გადაზიდვა გადაყვანის, სატრანსპორტო ექსპედიციის და სხვა მსგავს ხელშეკრულებებთან ერთად არეგულირებს მომსახურების კონკრეტულ სფეროს, ამ ხელშეკრულების საგანია, უხარვეზო მოგზაურობის უზრუნველყოფა. ტურიზმის ხელშეკრულების მხარეებია: ერთის მხრივ, მოგზაურობის მომწოდებელი და მეორეს მხრივ, ტურისტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 657-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ტურისტული საწარმო წარმოადგენს მოგზაურობის მომწოდებელს, ამდენად, კანონმდებელი ტურისტულ მომსახურებას მიიჩნევს სამეწარმეო საქმიანობად, რის გამოც მოგზაურობის მომწოდებელს შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმო, რომელიც “მეწარმეთა შესახებ” კანონის მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ტურისტული მომსახურების სფეროში. აღნიშნული ხელშეკრულება ორმხრივი კონსენსუალური ხელშეკრულებაა, რომლითაც ერთი მხარე-ტურისტული საწარმო მოვალეა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მოაწიოს მოგზაურობა, ხოლო მეორე მხარე – ტურისტი კი მოვალეა, ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, გადაუხადოს შესაბამისი საზღაური მოგზაურობის მომწოდებელს, ტურისტული ხელშეკრულების კონსენსუალური ბუნება კი იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალაშია მხოლოდ ნების თავისუფალი გამოვლენისა და მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწვერიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 657-667-ე მუხლები) პირდაპირ მითითებას არ შეიცავენ ხელშეკრულების ფორმის შესახებ, მაგრამ შესაბამისი მუხლების შინაარსით და დაპყვირებული პრაქტიკით ირკვევა, რომ იგი წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს და მარტივი წერილობითი ფორმაც საკმარისია ასეთი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის. თუმცა დასაშვებია ასევე ასეთი ხელშეკრულების ზეპირი ფორმითაც გაფორმება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მხარეები დაცულად ვერ იგონებენ თავს, ვინაიდან თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და შემდეგ უარყოფს ასეთი შეთანხმების არსებობას, ხელშეკრულების წერილობითი

ფორმით არარსებობის გამო, მსგავსი ტიპის, დავების გადაწყვეტა პრაქტიკაში მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში ყველაზე დიდ სირთულეს, ტურისტული მომსახურების სფეროში, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ვერ ხორციელდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა. სათანადო სააღრიცხვო სისტემის და რეგულირების მექანიზმის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება საკურორტო ადგილებში კერძო პირების მიერ გაქირავებული ფართებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა, ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია, ანუ არ მოდის შესაბამისობაში შემოსული ტურისტების რაოდენობასთან. მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემის შესწავლით; საქართველოსათვის ადაპტაციითა და შემდგომ მისი ქვეყანაში დანერგვით.

ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია: სტანდარტიზაცია, ლიცენზირება და სერტიფიკაცია. ამგვარად, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს საქმიანობის ხარისხის შეფასების სერხები და კრიტერიუმები, რათა მომხმარებელი დარწმუნდეს, რომ მის მიერ მიღებული კომფორტი და მომსახურება შეესაბამება მკაცრად განსაზღვრულ წესებს და ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა საკმაოდ ქმედითი და დინამიურია, აღნიშნული მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია: ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია დაბეგვრის გაცილებით ლიბერალური მექანიზმის შემუშავება და ლიცენზირების მკაცრი სტანდარტების დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე სასტუმროების სერტიფიცირების საკითხს, რომელიც უნდა გახდეს მფლობელისათვის სტაბილურობის გარანტი, ხოლო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების კარგი საშუალება არსებული მომსახურების ხარისხზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩხეს ის ფაქტიც, რომ არსებული კანონმდებლობა, საჭიროებს სერიოზულ გადახედვას, ვინაიდან უკვე ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და რეალობებს, ბოლო ათწლეულის მანძილზე აქტუალური გახდა ტურიზმის ახალი მიმართულებები, ახალი ტექნოლოგიები, ახალი მოთხოვნები, ამიტომაც საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის, აუცილებელია

არსებული კანონის რევიზია და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა მოხდეს მისი პარმონიზაცია, როგორც საქართველოს ამჟამინდელ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებთან და შეთანხმებებთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტურიზმის განვითარება მულტისექტორული თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნება, ამიტომაც შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობაც სასურველია გადაიხედოს პერიოდულად და გატარდეს სათანადო ცვლილებები. კანონმდებლობის გარდა ტურიზმის სფეროში ძალზედ მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული მარეგულირებელი სისტემის და დოკუმენტების ჩამოყალიბება. მარეგულირებელი ჩარჩო უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი, თუმცა მაქსიმალურად ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე მომხმარებელთა და მიმწოდებელთა ინტერესების დაცვას. ამგვარი სამოქმედო გეგმა, ერთიან კოორდინირებულ სისტემაში მოაქცევს ტურიზმის განვითარებისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევას, რაც გაზრდის ეფექტიანობას და დაზოგავს რესურსებს და დროს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი. მ. 2008წ. *ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები*. თბილისი. შ.პ.ს. “ფორმა”.
2. მეტრეველი. მ. 2011წ. *ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა* თბილისი. შ.პ.ს “ფავორიტი პრინტი”.
3. ქარუმიძე. ვ. 2001წ. *საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი*. თბილისი, “ცოდნა”.
4. ჭანტურია. ლ. 2001 . *სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი მეოთხე*. თბილისი, “სამართალი”.
5. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია. <http://unwto.org/>
6. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. <http://www.economy.ge/>

შალვა ბერიკაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი

რეკეტი

შესავალი

რეკეტი წარმოადგენს შემოსავლის ან სხვა ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებულ არაერთჯერად და ორგანიზებულ საქმიანობას, თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც 5 კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტორის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

რეკეტი არალეგალური ბიზნესია, რომელიც როგორც წესი შედის ორგანიზებული დანაშაულის შემადგენლობაში. რეკეტში მონაწილე პირს მოიხსენიებენ რეკეტორად.

რეკეტის რამდენიმე ფორმა არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ეგრედწოდებული „კრიშის“ ინსტიტუტი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რეკეტორი ითხოვს ფულს ბიზნესისაგან და სანაცვლოდ სთავაზობს მას დაცვას დანაშაულებრივი სამყაროსაგან.

რეკეტის მეორე ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს უკანონო თამაშები ლატარიები.

როგორც წესი, სიტყვა რეკეტს იყენებენ ისეთი ბიზნეს ორგანიზაციების აღსაწერად, რომლებიც დაკავებულნი არიან „პრობლემების მოგვარების“ გაყიდვით. ეს ინსტიტუტე თავად ქმნის პირობებს იმისთვის, რომ გამოიწვიოს ბიზნესისაგან მფარველობის მოთხოვნა და შემდეგ თვითონვე ეხმარება ბიზნესს ამ პრობლემების მოგვარებაში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

ტერმინი რეკეტი პირველად გამოყენებულ იქნა 1927 წელს ჩიკაგოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ, რომლის წევრებიც პირველნი გახდნენ ორგანიზებული დანაშაულის ამ ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინების მსხვერპლნი.

რეკეტი ქართულ სისხლის სამართალში

რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტორის შესახებ 17¹ მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს დაემატა 2004 წლის 24 ივნისს, ხოლო 2006 წლის 25 ივლისს სსკ კერძო ნაწილს დაემატა 224¹ მუხლი. – რეკეტული დაჯგუფებაში მონაწილეობა.

საერთოდ რეკეტი ნიშნავს გამოძალვას, მაგრამ ჩვენი კანონმდებელი მასში მხოლოდ გამოძალვას არ გულისხმობს.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება. ობიექტური მხრივ იგი მოქმედებაში გამოიხატება და რაიმე მძიმე შედეგის დადგომა არაა აუცილებელი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. კერძოდ, ეს მოქმედებაა დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ერთად (პირებთან) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვა. ამდენად პირი თავად დამოუკიდებლად ან სხვასთან წარმართვას (ხელმძღვანელობს) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას. იმისათვის, რომ გავიგოთ რეკეტული დაჯგუფების არსი, ჯერ უნდა გავერკვეთ თავად რეკეტის ცნებაში. სსკ 17¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეკეტი არის შემოსავლის (მაგალითად, ფულის) ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის (მაგ., უფასო მოგზაურობის) სისტემატურად (არანაკლებ სამჯერ) მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან, თუ ეს დანაშაული განხორციელდა ორჯერ მანც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში.

როგორც ვხედავთ, რეკეტრის საქმიანობა უნდა იყოს არა მარტო არაერთჯერადი, არამედ ორგანიზებულიც (ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში). ამიტომ რეკეტად ჩაითვლება არაერთჯერადად და ორგანიზებულად მითვისების ჩადენა ორჯერ ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში; ასევე ქრთამის აღება იმავე პირობებისას და ა.შ. ე.ი. ყოველგვარი თუნდაც ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა მე-17-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებაში სარგებლის მოღების მიზნით რეკეტი.

რაც შეეხება რეკეტულ დაჯგუფებას, ასეთად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც თავისი ფორმით ორგანიზებული ჯგუფია.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია სხვაგვარი მონაწილეობა რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში. აქ იგულისხმება რეკეტული დაჯგუფების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა (და არა ხელმძღვანელობა). მაგალითად, რაიმე განზრახი დანაშაულის ჩადენით ან დაფარვით გამორჩენის მისაღებად.

დავების უკანონოდ გადაწყვეტა, რეკეტულ დაჯგუფებათა შორის ან რეკეტული დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის ნიშნავს იმას, რომ რეკეტის სათანადო კანონიერი საფუძველის გარეშე, თვითნებურად წვეტს ამგვარ დავებს, ე.ი. ასრულებს მოსამართლის როლს. ასეთი დავები, როგორც წესი, ქონებრივი ხასიათისაა. აღნიშნული ფორმატიც – “დავების უკანონო გადაწყვეტა” ქურდული სამყაროს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. თუმცა დავების გადაწყვეტაში მონაწილეობის დროს რეკეტირი არ ასრულებს ერთპიროვნული მოსამართლის როლს, (კანონიერი ქურდისგან განსხვავებით) მაგრამ სხვა რეკეტირთან ერთად ამ პროცესის მონაწილეა.

როცა დავა მიმდინარეობს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის, ამ დროს სულ მცირე ორი რეკეტული დაჯგუფება უნდა იყოს ჩართული ამ დავაში, სხვა პირი კი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი (14 წელს მიღწეული, შერაცხადი).

საინტერესოა, რომ რიგ ქართველ მეცნიერ-იურისტთა აზრით: “რეკეტულ დაჯგუფებას შორის დავის გადაწყვეტა უნდა განვსხვავოთ გარჩევისაგან (223¹ მ) ქურდული გარჩევის დროს ქურდული სამყაროს წვერი წვეტს ორ ან მეტ პირს შორის არსებულ დავას და ამ დროს საქმის გარჩევას თან უნდა ახლდეს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო მოქმედება (მაგალითად, ბოროტი დაცინვა და აბუჩად აგდება), რაც არაა აუცილებელი რეკეტული გარჩევის დროს. გარდა ამისა, ქურდული გარჩევისას დავას წვეტს ქურდული სამყაროს წვერი, რომელიც მოქმედებს ე.წ. „ქურდული კანონებით“ და სწორედ ამ „კანონის“ შესაბამისად წვეტს მხარეთა შორის არსებულ დავას. ხოლო რეკეტული გარჩევა არ ექვემდებარება რაიმე წინასწარ დადგენილ წესს, ამდენად რეკეტული გარჩევა შეიძლება იყოს უფრო რასაც ვერ სასტიკი” [1, 320]. დავეთანხმები, რამდენადაც დავის გადაწყვეტა და გარცევა ამ შემთხვევებში ერთი და იგივე შემადგენლობისა და შინაარსის მატარებელია და არანაირად არ განსხვავდება იმ მომენტისაგან იყო თუ არა ხილული ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, (დაშინება, მუქარა, იძულება და ა. შ.) თუ ყოველივე გარეგნულად მიმდინარეობდა ხილულ “კეთილგანწყობილი საუბრის” ფორმატში. საქმე იმაში გახლავთ რომ “კანონიერი ქურდის” სტატუსი, მის მიერ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტი, მისი “გადაწყვეტილების აუცილებლობა” “ქურდული კანონების” შესაბამისად, მისი შეუსრულებლობა, თავისთავად დაშინებაც, მუქარასაც და იძულებასაც მოიცავს.

ამასთან საყურედრებოა, რომ პრაქტიკაში მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, მაინც ბუნდოვანია ანტირეკეტული ნორმების მიზანი, რეგულაციის სფერო, პრობლემა შეიქმნა დანაშაულის სხვადასხვა ფორმებიდან მისი გამოიჯენისას. აღნიშნული მიზეზების გამო, ახალი ანტირეკეტული ნორმები პრაქტიკულად უმოქმედოა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის გაყოფილების ინფორმაციით, სასამართლო წარმოებაში რეკეტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არ განხილულა: „2005-2007 წლებში არ შემოსულა საქმეები სსკ-ის 17¹ და 224¹ მუხლებით“.

ზემოხაზოთვლილი ნორმა ორგანიზებული ჯგუფის სპეციალური, კრიმინალიზებული ფორმაა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერჯერობით არ არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა. ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა მხოლოდ კონკრეტულ გამოვლინებებს არეგულირებს, მაგრამ მათ გარეთ მოუწესრიგებელი რჩება დანაშაულებრივი საქმიანობის საკმაოდ დიდი წრე.

2006 წლის 15 ივლისის კანონის 224¹-ე მუხლი ანტირეკეტულ ნორმებში შეიძლება წინადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიოთ, რადგანაც აღნიშნული ნოვაციის წყალობით ნორმა სანქციით აღიჭურვა და დამოუკიდებელი დანაშაულის სახედ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში, მაგრამ კვლავ გაურკვეველია, რა მოიაზრება რეკეტულ საქმიანობად. თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელს რეკეტი გამოძალავის ერთ-ერთი სახედ მიაჩნია, მაშინ უსაზრისოა გამოძალავის ორი შემადგენლობის – ზოგადის და სპეციალურის – არსებობა იმ დროს, როდესაც გაურკვეველია, რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

„რიკოს“ კანონი 1961-ე პარაგრაფში ადგენს საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს იმ დელიქტებისა, რომლებიც ითვლება „რეკეტულ საქმიანობად“. აღნიშნულ საქმიანობად მიჩნეულია, მაგალითად, „პობსის“ კანონის დარღვევა, ფულის გაეთურება, მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება, მეჭრთამეობა, თადლითობის სხვადასხვა სახეები, სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლა, ნაჭურდალის საერთაშორისო გადაზიდვა, კრედიტის უკანონოდ მიღება და ა.შ.” [2, 110].

რეკეტობის ძირითად ნიშნად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17¹, 224¹ მუხლებისა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ სპეციალური კანონით მოიაზრება ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, დანაშაულის სიმრავლე კი აღნიშნული ორგანიზებულობის გამოხატვის ფორმაა. „როგორც სსკ 17¹ მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რეკეტი დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულის ინსტიტუტების მიჯნაზე დგას. სახელდობრ, რეკეტის განმარტების თანახმად, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად და ორგანიზებულად“.

„დანაშაულებრივი შეთანხმების“ ინსტიტუტი ორგანიზებულ დანაშაულთა, განსაკუთრებით მისი ზედა ეშელონების, წინააღმდეგ ბრძოლის, ეფექტური

იარაღია. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისგებაში მიეცნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ არ განუხორციელებიათ რაიმე „აშკარა მოქმედება“ საკმარისია, დამტკიცდეს ის ფაქტი, რომ ისინი „შეთანხმების“ მონაწილეები არიან. ამერიკული „რიკოს“ კანონის ავტორები, დაეყრდნენ რა „დანაშაულებრივი შეთანხმების“ სტატუსს, და მასში აღწერილ დებულებებს, შეიმუშავეს ახალი, „ორგანიზაციული შეთანხმების“ კონცეფცია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც „რიკო“ საკმაოდ ეფექტური გამოდგა ორგანიზებულ დანაშაულებებთან ბრძოლაში, არის ზუსტად „ორგანიზაციული შეთანხმების“ ახალი კონცეფციის დამსახურება.

„ორგანიზაციული შეთანხმება“ მნიშვნელოვან იარაღად იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდნენ კრიმინალურ დაჯგუფებებს, პირადად იშვიათად არღვევდნენ კანონს. „რიკომ“ ისეთი ფორმულირება მისცა „დანაშაულებრივი შეთანხმების“ ნორმებს, რომ შესაძლებელი გახდა პასუხისგებაში მიცემულიყვნენ ისინი, ვინც რეალურად წარმართავდა ორგანიზებულ დანაშაულებებს.

ქართველ მეცნიერთ ერთი ნაწილის აზრით, „ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნება და აღნიშნული ცნების შემუშავებისას დაეყრდნოთ „რიკოს“ „ორგანიზაციული შეთანხმების“ ძირითად დებულებებს, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას, რადგანაც ზუსტად პასუხისმგებლობის ფარგლებს „რიკოსული“ გადაწყვეტა იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა თავკაცების სამართლიანად დასჯის საფუძველად“ [3, 10].

საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში მოიაზრება როგორც ორგანიზებული ჯგუფი, ისე დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქართველმა კანონმდებელმა ეს ორი განსხვავებული მოვლენა ერთი ცნების ქვეშ მოაქცია.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტირეკეტული ნორმები საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის სისტემას ეფექტურად ვერ მოერგო და ვერ შეეთავსა არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს. გაურკვეველია მათი რეგულაციური სფერო. როგორც ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა გვანჩენა, საქართველოში არ იქნა გათვალისწინებული არათუ კრიტიკული წინადადებები,

რაც აშშ-ს ანტირეკეტული ნორმების მიმართ არის გამოთქმული, არამედ „რიკოს“ პროგრესული კონცეფციების თანამიმდევრობით გადმოღებაც კი ვერ მოვახერხეთ. სამართლებრივი ინსტიტუტის რეცეფციის დროს უმთავრესია შინაარსის და არა ფორმის გათვალისწინება. სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებელმა რეკეტული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ნორმებში ასახა „რიკოს“ ფორმა და არა მისი შინაარსი. ყოველივე აღნიშნულის გამო, ანტირეკეტული ნორმები დღესდღეობით პრაქტიკულად უმოქმედოდაა და მათ მკვდარ შემადგენლობად გადაქცევის საფრთხე ემუქრება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ლეკვიშვილი მ. თოდუა ნ. გვენეტაძე ნ. მამულაშვილი გ. 2008. *სახელმძღვანელო სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, თბილისი: მერიდიან.
2. დაუთაშვილი პ. 2008. *საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. გორაშვილი გ. 2007. ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. *ქურნალი მართლმსაჯულება*, მარტი 10-11.
4. საქართველო. პარლამენტი. 1999 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი: საკანონმდებლო მაცნე № 41.

აზიო კონცელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი

ნაზივ მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში

შესავალი

1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში სასამართლო სისტემა ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუტად იქცა, რომლისადმი უნდობლობა უკვე საზოგადოებას ტრადიციულად კი ექცა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღესდღეობით – 21 საუკუნეშიც ვერ შეძლო სასამართლო სისტემამ პრესტიჟის აღდგენა საზოგადოებაში.

სასამართლო რეფორმები საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, კერძოდ, ჩამოყალიბდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, გამკაცრდა მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის პროცესი, შეტანილ იქნა ცვლილებები საკანონმდებლო ბაზაში [3, 1], მაგრამ ამ რეფორმების ფონზე მაინც ვერ მოხერხდა რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება სასამართლო სისტემის მოდერნიზაციის კუთხით; მთავარი ძვრები რეფორმატორული თვალსაზრისით 2003 წელს-გარდების რევილუციის შემდეგ დაიწყო, ქმედითი აქტები გამოიხატა მოსამართლეთა ნაწილის თანამდებობიდან გათავისუფლებაში, სამოსამართლო ასაკის დაწვევაში, ხელფასების ზღვრის აწვევაში, მაგრამ მიუხედავად ამისა სასამართლო რეიტინგი მაინც არ გაზრდილა საზოგადოებაში, ყოველივე ამან ქვეყნის მთავრობას დიდი საფიქრალი გაუჩინა, ამ მიმე სიტუაციიდან გამოსავალი მოიძებნა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების შიდა კანონმდებლობებიდან ახალი ნოვაციების გადმოტანაში-ქართულ კანონმდებლობაში, ასე აღმოჩნდა ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, აღნიშნული ინსტიტუტი დემოკრატიის უმაღლეს გამოხატულებად ითვლება დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, მისი საქართველოში ინკორპორირება მოხდა ამერიკული სამართლიდან.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნული თემის განხილვისას მე შევეცდები დაწვრილებით განვიხილო ის დავებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე ის წინააღმდეგობები რაც ამ ნოვაციას მოჰყვა და რაც სამომავლოდ შეიძლება პრობლემის სახით დადგეს ქართულ რეალობაში.

აღნიშნული ნოვაციის საქართველოში შემოტანამდე ჩატარდა საკმაოდ საინტერესო კვლევები ადგილობრივ მოსახლეობაში. უპირველესად კვლევების ჩატარება მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების მზაობის დადგენას ახალი ინსტიტუტის მართლმსაჯულებაში ინკორპორირების მიმართ. კვლევებმა საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა მოგვცა შედეგის სახით; გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები საითკენაც მიმართულია საზოგადოება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევების თანახმად საზოგადოება ასე თუ ისე ინფორმირებულია ზოგადად აღნიშნული ინსტიტუტის თაობაზე, მაგრამ საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული აღნიშნული ინსტიტუტის საქართველოში გადმოტანასე-რად შეეხება საზოგადოების აზრს და მიმართებას, ზოგადად იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტიურად არ არსებობს რაიმე სახის ნდობა დღევანდელი სასამართლოს მიმართ. საზოგადოება აღნიშნულ ინსტიტუტს იმედის თვალთ უყურებს, როგორც პრობლემის მოგვარების საშუალებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საზოგადოების აზრი რამდენიმე ნაწილად გაიყო, ვინც სიღარიბის ზღვარს დაბლა იმყოფება მათთვის სულ ერთია, რადგან ყველა სიახლეს იმედის თვალთ უყურებენ, ხოლო ვინც ეკონომიურად ძლიერია, მისთვის ყველა სიახლე პოტენციურად საფრთხის შემცველია. გამომდინარე აქედან, სხვადასხვაგვარია საზოგადოებას დამოკიდებულებაც აღნიშნული ნოვაციის მიმართ. ფაქტი ერთია, საზოგადოება იმედის თვალთ უყურებს აღნიშნული ინსტიტუტის შემოტანას. უფრო მეტიც, ზოგიერთი მას მოიაზრებს როგორც დემოკრატიის დონის ამაღლების და კორუფციის დონის შემცირების საშუალებას, მაგრამ დაკვირვებული ადამიანის შესახედავიდან გამომდინარე, უარყოფითი მხარეების და რისკების გათვალისწინებით საზოგადოების ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი აღნიშნული ნოვაციის მიმართ. ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ქართულ საზოგადოებაში განწყობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე მოლოდინი იმისა, რომ ეს ინსტიტუტი გაამართლებს ქართულ რეალობაში. კვლევების თანახმად, ასევე გამოიკვეთა სკეპტიკური დამოკიდებულება თეთონ საზოგადოების მზაობის შესახებ რეფორმისადმი და წარმონაქა პიპოთუხა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ნორმალურ ფუნქციონირებაში საზოგადოების არასამართლებრივი მენტალიტეტი შეუშლის ხელს. აქედან ნათლად შეიძლება დავსკვნათ, რომ აუცილებელია ნოვაციის შემოტანამდე მოხდეს საზოგადოების მომზადება სიხლეების მისაღებად, აუცილებელია გაიზარდოს მართლშეგნება საზოგადოებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ინსტიტუტი ქართულ რეალობაში წარმონაქდება როგორც „მობილური ტელეფონი ქვის ხანაში“. ჯემოდთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ იკვეთება საკმაოდ მაღალი სოციალური შეკვეთა, მაგრამ ამ მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა ის, რომ ეს ინსტიტუტი, როგორც დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტი ფორმალურად იყოს ქართულ კანონმდებლობაში, არამედ მოთხოვნა იმისა, რომ კონკრეტული

სასამართლო გადაწყვეტილებები, რასაც ნაფიცი მსაჯულები სამომავლოდ მიიღებენ იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი [6, 28].

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოსატანად ძვრები ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვლიდან დაიწყო, კერძოდ კონსტიტუციის 82 მუხელში შევიდა ცვლილება, მაგრამ 2008 წლამდე რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება აღნიშნული ინსტიტუტის ასამოქმედებლად ვერ მოხერხდა.

2009 წელს საკანონმდებლო ორგანოს ინტენსიური მუშაობით მოხერხდა უკვე კანონმდებლობის დონეზე აღნიშნული ინსტიტუტის შემოტანა ეტაპობრივად. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა რეალურად მოქმედი ძალა საქართველოში 2010 წლიდან შეიძინა, ისიც შეზრუდული ტიპის დანაშაულებებზე, ჩადენილზე კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში.

ჩნდება კითხვა – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მთავრობამ დემოკრატიის დონის ამაღლების მიზნით შემოიტანა თუ სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად? პასუხი აღნიშნულ კითხვებზე არ ჩანს. ეს განპირობებულია იმით, რომ ჯერ-ჯერობით არ მომხდარა ამ ინსტიტუტის სრული მისადაგება ქართული კანონმდებლობისადმი. აღნიშნული ინსტიტუტის აკარგვანობის შეფასება მხოლოდ 2013 წლიდან იქნება შესაძლებელი, როცა ეს ინსტიტუტი სრულად ამოქმედდება, ხოლო შედეგების შეფასებას დაახლოებით 10 წელი მაინც დასჭირდება, რაც დამეთანხმდებით, რომ საკმაოდ დიდი დროა. შესაბამისად, ეს ყველაფერი დიდ რისკებთან არის დააკავშირებული იმ კუთხით, რომ თუ ამ ინსტიტუტმა ვერ გაამართლა ქართულ რეალობაში. ეს ყველაფერი კიდევ უფრო დასცემს ისედაც ლაფში ამოსვრილი ქართული სასამართლოს იმიჯს.

რაც შეეხება ჩემს პასუხს ზემოაღნიშნულ კითხვებზე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – მეტი დემოკრატია თუ სასამართლო იმიჯის გამოსწორება? ჩემი აზრით უფრო მეტი დემოკრატია, ვიდრე იმიჯის გამოსწორება. ხელისუფლებამ მოახდინა ამ ინსტიტუტის გადმოტანა შიდა კანონმდებლობაში იმ მიზნით, რომ ყველას აჩვენოს თუ დემოკრატიის როგორი მაღალი დონეა საქართველოში. ჩემი აზრით, სრულიადაც არ იყო საჭირო ასეთი ძვირადღირებული ინსტიტუტის შემოტანა ისეთ მცირეუფატიანი სახელმწიფოს კანონმდებლობაში – როგორც საქართველოა. სასამართლოსადმი ნდობა საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ აღდგება თუ სასამართლო იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი, ხელისუფლებას შეეძლო შეექმნა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სასამართლო, დამოუკიდებელი და არაკორუმპირებული მოსამართლეთა აპარატი. ამ გზით უფრო ადვილად დაიბრუნებდა სასამართლო საზოგადოებაში ნდობას,

ვიდრე კოლოსალური თანხების ხარჯვით ისეთი ინსტიტუტის შემოტანაზე რომელიც ან გაამართლებს ან არა ქართულ რეალობაში.

მოდით სათითაოდ მოკლედ განვიხილოთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მთავარი დადებითი და უარყოფითი მხარეები ქართულ რეალობაში და ურთიერთშეჯერებული ინფორმაციის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნები:

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მთავარი დადებითი მხარეები:

- ✓ მეტი დემოკრატია – აღნიშნული ინსტიტუტის შემოტანამ რეალურად თუ არა ფაქტობრივად მაინც – მნიშვნელოვნად აღამაღლა საქართველოში დემოკრატიის დონე. სხვა ქვეყნების გადმოსახედიდან საქართველოს – როგორც დემოკრატიული ქვეყნის, რომელსაც აქვს ისეთი ინსტიტუტი როგორც არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – იმიჯი მნიშვნელოვნა ამაღლდა.
- ✓ აღნიშნული ინსტიტუტი დემოკრატიის შუქურად და უმაღლეს ღირებულებად ითვლებოდა დასაველეთის მთელ რიგ ქვეყნებში. თუ ამ ინსტიტუტმა გაამართლა ისეთ ქვეყანაში როგორც არის აშშ, მაშინ დიდი ალბათობით ის გაამართლებს საქართველოშიც, რაც იმედისმომცემია.
- ✓ გარკვეული კუთხით აღნიშნული ინსტიტუტის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ განსასჯელის გადასახედიდან თუ შევაფასებთ უფრო ობიექტური იქნება ის განსაჯოს თავისმა მსგავსმა მოქალაქემ, ვიდრე “სამართლის რობოტად” ქვეულმა მოსამართლემ, რომელზეც ზეგავლენის მოხდენა უფრო ძნელია, ვიდრე უბრალო ადამიანზე.
- ✓ დადებითია ისიც, რომ მსაჯულები 12-ს შეადგენენ, 12 ადამიანის მოსყიდვა და მათზე მანიპულირება უფრო ძნელია, ვიდრე იმ ერთი მოსამართლის, რომელიც საზოგადოების დასახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს.
- ✓ ფინანსური კუთხით მოსამართლე სახელმწიფოზე დამოკიდებული (იღებს გასამრჯელოს), მსაჯულები კი უანგაროდ ასრულებენ მოვალეობას, რაც მათდამი საზოგადოების ნდობას ერთიორად ზრდის.
- ✓ განსასჯელის გადასახედიდან, ადამიანის გრძობებზე მანიპულირებით მას მსაჯულებთან უფრო დიდი ალბათობით შეუძლია მიაღწიოს გამამართლებელ ვერდიქტს, ვიდრე იგივე შემთხვევაში გამოცდილ მოსამართლესთან.
- ✓ აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით თვით ხალხი მონაწილეობს მართლმსაჯულებაში, რაც მათ ნდობას ამაღლებს. ესეც რომ არა, თუ სახელმწიფო მართლმსაჯულების სფეროში ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს და ვერ აღდგება სასამართლოს რეიტინგი, საზოგადოებას ვეღარ ექნება პრეტენზია ხელისუფლებისადმი, რადგანაც ისინიც, როგორც რიგითი მოქალაქეები, მონაწილეობას იღებდნენ მართლმსაჯულებაში.

- ✓ როცა მოქალაქე სნადის დანაშაულს, ის აზიანებს არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას. აღნიშნული ნოვაციის წყალობით თვით საზოგადოება (და არა სახელმწიფო) განსჯის დამნაშავეს იმ ქმედებისათვის, რითიც მან ზიანი მიაყენა მთელს საზოგადოებას.
- ✓ აღნიშნული ინსტიტუტის უდიდეს ღირსებას ასევე იხივ წარმოადგენს, რომ ის ერთიორად ამადლებს შეჯიბრებითობის პრინციპს სასამართლო პროცესზე; თითოეულ მხარეს გააჩნია თანაბარი ძალა ამტკიცოს თავისი სიმართლე მსაჯულთა წინაშე.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნაკლოვანებები:

ეს რაც შეეხებოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ღირსებებს. ახლა კი გადავიდეთ იმ უარყოფითი მხარეების და წინააღმდეგობების განხილვაზე, რაც თან ახლავს აღნიშნულ ინსტიტუტს:

- ✓ აღნიშნული ინსტიტუტი გამოირჩევა განსაკუთრებული სიძვირით, მაგ: ამერიკაში თითოეული პროცესის ჩატარება კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ასეთი ძვირადღირებული ინსტიტუტის გადმოტანა ისეთ მცირებითუფეტიან ქვეყანაში, როგორც საქართველო, ცოტა არ იყოს და სათუთა.
- ✓ არაობიექტურობის მაღალი რისკი – ზოგიერთ განსახველს ურჩევნია ის განსაჯოს წიგნებში ჩამალულმა გამოცდილმა და სამართლის კარგად მცოდნე მოსამართლემ, ვიდრე 12-მა იურიდიულად „გაუნათლებელმა“ მოქალაქემ.
- ✓ ნაფიც მსაჯულთა პროცესები დროში გაწელილია, რთულ საქმეებზე ხშირად საერთოდ ვერ ხერხდება ერთიანი გადაწყვეტილების მიღება, დროის გაწელვა კი ხშირად დიდ დანაკარგებს უკავშირდება.
- ✓ ნაფიც მსაჯულთა პროცესზე, დიდი შანსია, რომ ადამიანურ ღირებულებებზე მანიპულირებით მკვლელი გაანთავისუფლონ, ამის განსაკუთრებით დიდი ალბათობა არსებობს საქართველოში, ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით (მაგალითად გამოდგება ამერიკაში 1995 წელს ჩატარებული O.J. SIMPSON-ის სასამართლო პროცესი).
- ✓ ნაფიც მსაჯულთა პროცესზე შეჯიბრებითობის პრინციპი დაცულია, რაც მეორე საფრთხეს უკავშირდება. პროცესზე ის იმარჯვებს, ვისაც ჰყავს კარგი ადვოკატი; კარგი ადვოკატის ყოფა დიდ ხარჯებს მოითხოვს. შესაბამისად, ვისაც ფული არ აქვს ვერ აიყვანს კარგ ადვოკატს და გამომდინარე აქედან, ვერც სასამართლო პროცესს მოიგებს, რაც არასამართლიანია.

- ✓ საქარველოში დიდი ალბათობით არსებობს იმის საშიშროება, რომ მოისყიდონ მსაჯულები. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველა ყველას იცნობს, გასათვალისწინებელია ქართული ხასიათიც ყველას აინტერესებს განსასჯელის ბედი.
- ✓ ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სულ რაღაც 10 წლის წინ საქართველოში არსებობდა ქურდული მენტალიტეტის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომლის ფესვები დრესაც არსებობს ქართულ რეალობაში. აქედან გამომდინარე, სათუთა, რამდენად მიიღებს ასეთი ტიპის საზოგადოება ისეთ ინსტიტუტს, როგორც არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.
- ✓ მაგალითის სახით მოვიყვან ქალაქ თბილისში (კერძოდ გლდანში) მომხდარი მკვლელობის საზარელ ფაქტს, როცა ქმარმა თავისი მეუღლის საყვარელს თავი მოაჭრა. ვირტუალურად თუ წარმოვიდგინოთ ნაფიც მსაჯულთა პროცესს აღნიშნულ საქმეზე, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 12 ტიპიური ქართველი მსაჯული მამაკაციდან 12-ვე გაამართლებდა აღნიშნულ პირს.
- ✓ უდიდესი საფრთხის შემცველია თვით ვერდიქტის მიღების სისტემა ნაფიც მსაჯულთა პროცესზე. 12 მსაჯულიდან 4-ის თანხმობა საკმარისია პირის გასათავისუფლებლად.
- ✓ პრობლემატურია ასევე ის საკითხიც, რომ მსაჯულთა გადაწყვეტილება საბოლოოა. მკვლეელი რომ გაამართლონ მსაჯულებმა, მოსამართლე ვალდებული იქნება ასეთი პირი გაუშვას სასამართლო დარბაზიდან.
- ✓ არაობიექტურობის პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს დაუსაბუთებელი აცილების ინსტიტუტი ნაფიც მსაჯულთა პროცესში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ მსაჯულთა შემადგენლობა არის ხელოვნურად ფორმირებული მხარეთა მიერ. რომელი მხარეც უკეთეს გათვალს გააკეთებს, სწორედ ის იმარჯვებს. ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თამაშს ემსგავსება. ჩემი აზრით, უკანონოა თამაშზე იყოს დამოკიდებული ადამიანის 25 წლით თუ უკიდოდ ციხეში პატიმრობის ბედი.
- ✓ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძვირადღირებული სიამოვნებაა ჩვეულებრივ სასამართლო პროცესთან შედარებით. ვისაც არ ექნება პროცესის ხარჯების ანაზრაურების შესაძლებლობა, მათ მოსამართლეები განსჯიან - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამორიცხვით, რაც ამსხვრევს სასამართლო სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს თითოეული ადამიანისათვის და საზოგადოებაში იწვევს არაობიექტურობის შეგრძნებას.
- ✓ საქართველოს ობიექტური რეალობის გათვალისწინებით სათუთა, რამდენად იქნება შესაძლებელი ნაფიც მსაჯულთა კონფიდენციალურობის დაცვა.

- ✓ არსებობს იმის საშიშროება, რომ ამ ინსტიტუტის შემოღებით ხელისუფლება ცდილობს ხალხის მართლმსაჯულებაში ჩართვით თავიდან აიცილოს სამომავლოდ საზოგადოების ბრალდება მთავრობისადმი, თუ ისევ ვერ აღდგება სასამართლოს რეიტინგი საზოგადოებაში.
- ✓ თუ აღნიშნული ინსტიტუტი ვერ გაამართლებს, ეს გამოიწვევს ათასობით განსასჯელის უკანონო პასუხისმგებლობას და მათი უფლებების დარღვევას.
- ✓ უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას სარეაბილიტაციო კომპენსაციის გადახდაზე და მიუთითოს, რომ ის საზოგადოებამ განსაჯა და არა სახელმწიფომ. ასეთ სიტუაციაში საზოგადოება ვერანაირ კომპენსაციას ვერ ვასცემს.
- ✓ განსაკუთრებით საფრთხის შემცველია მედიის ზეგავლენის მაღალი ალბათობა ნაფიც მსაჯულებზე გახმაურებული ცნობილი საქმეების შემთხვევაში, რაც მიკერძოების დონეს ერთობრად ზრდის.
- ✓ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებას არ სჯერა 25 წლიანი სტაჟის მქონე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუკერძოებლობა და სისწორე, მაშინ სათუთა, რამდენად დაიჯერებს იგივე საზოგადოება ჩვეულებრივი (იურიდიულად გაუნათლებელი) მოქალაქეების მიერ მიღებული ვერდიქტის მართებულობას.
- ✓ მოსამართლესთან შედარებით მსაჯულებზე მანიპულირების შესაძლებლობა გაცილებით მაღალია.
- ✓ უადრესად აქტუალური და პრობლემატური საკითხია აღნიშნული ინსტიტუტის ეტაპობრივი შემოტანა საქართველოში. წარმოვიდგინოთ ორი მკვლევლობის შემთხვევა: თბილისში და მცხეთაში (დაშორება ქალაქებს შორის მხოლოდ რამდენიმე ათეული კილომეტრია). თბილისში აღნიშნულ დანაშაულზე მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მცხეთაში კი ჩვეულებრივი რაიონული სასამართლო. ნაფიც მსაჯულთა შემთხვევაში გამამართლებელი ვერდიქტის მიღების ალბათობა გაცილებით მაღალია. გამოდის რომ რიგითი მცხეთელი თუ ვინმეს მოკვლას გადაწყვეტს, მან ეს განზრახვა სისრულეში თბილისის ტერიტორიაზე უნდა მოიყვანოს, სადაც მას გამართლების უფრო მაღალი ალბათობა გააჩნია, რაც, დამუთანხმებით, რომ სრული აბსურდია და ადამიანთა დისკრიმინაციის პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს.
- ✓ აღნიშნული ინსტიტუტის საშუალებით თავისუფლად არის შესაძლებელი მკვლელი სასამართლო დარბაზიდანვე განათავისუფლონ, რაც, დამერწმუნებით, რომ არანაირად არ შეუწყობს ხელს სასამართლო რეიტინგის ამაღლებას საზოგადოებაში.
- ✓ აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფაქტიც, რომ ქართულ რეალობაში ერთხელ უკვე არსებობდა თანამედროვე ნაფიცი მსაჯულების მოდიფიცირებული

ვარიანტი საბჭოთა კავშირის არსებობის დროს. მაშინ მათ “სახალხო მსაჯულება” ეწოდებოდათ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მაშინდელ საქართველოში აღნიშნულმა ინსტიტუტმა ვერ გაამართლა და გაუქმებულ იქნა, რაც დიდი ალბათობით გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ეს ინსტიტუტი ვერც დღევანდელ რეალობაში მოიკიდებს მყარად ფეხებს [6, 1].

დასკვნა

მას შემდეგ რაც მიმოვიხილეთ აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ქართულ კანონმდებლობაში შემოტანა არის იმ პროცესების კანონზომიერი გაგრძელება, რაც დაიწყო საქართველოში 2003 წელს ვარდების რევოლუციით.

ჩემი აზრით, უფრო უპრიანი იქნებოდა სახელმწიფოს აღნიშნული ძვირადღირებული ინსტიტუტის შემოტანის ნაცვლად თანხები დაეზოგა, შეექმნა დამოუკიდებელი სასამართლო და არ ჩარეულიყო მსსამართლის პრეროგატივებში. არ აქვს მნიშვნელობა იქნება თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, თუ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეწყვეტს ჩარევას სასამართლოს საქმიანობაში – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან ერთად თუ მის გარეშე. სასამართლო მაინც ვერ აღიდგენს დაკარგულ ნდობას საზოგადოებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტი. 2011. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*. თბილისი: გამომცემლობა RISE.
2. საქართველოს პარლამენტი. 2011. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*. თბილისი: იურიდიული ფირმა “ბონა კაუსა”.
3. საქართველოს იუსტიციის საბჭო <http://hcoj.gov.ge/?i=2448&l=2>
4. ადლერი ფ, მიულერი გ. ო., ლაუფერი ვ. ს. (მთავარი რედ: დლონტი გ.) 2004. *შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში*. თბილისი.
5. ავტორთა კოლექტივი. (მთავარი რედ: დლონტი გ.) 2004. *კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში*. თბილისი: საქართველო
6. კვლევა განახორციელა კომპანია “ნიკოლო მ“-მა. 2007. თბილისი. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/researchjurytrial.pdf>
7. HEINRICH BOLL STISTUNG (სამხრეთ კავკასია). <http://georgien.boell-net.de>. <http://georgien.boell-net.de/web/101-882.html>
8. რადიო თავისუფლება, <http://www.radiotavisupleba.ge/>.

აღექსანდრე დლონტი

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი*

კიბერდანაშაულის პრობლემა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში

მოკლე ისტორია

როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტს, კიბერდანაშაულს შეისწავლიან მე-20 საუკუნის მიწურულიდან, სწორედ იმ დროიდან, როდესაც მასობრივად დაიწყო კომპიუტერების გამოყენება. დღევანდელ დღეს კომპიუტერები და ინტერნეტ-ქსელში ჩართული სხვა მოწყობილობები გვიადვილებენ ცხოვრებას, თუმცა, ამავდროულად კიბერდანაშაულის გავრცელებასაც უწყობენ ხელს. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება დანაშაულის ჩადენის ინსტრუმენტად თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც აქტიურად ებრძვის მთელი საზოგადოება. კიბერ-ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია არამარტო მსოფლიო მიღწევების დასაცავად, არამედ მათზე ნეგატიური ზემოქმედებისთვისაც [9].

კომპიუტერის გამოყენებით ბოროტმოქმედს შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს არამხოლოდ საბანკო დაწესებულებებს, მუნიციპალურ სამსახურებს, საავტორო უფლებებს, არამედ პირდაპირ დაემუქროს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და თავდაცვის უნარიანობას [4]. FBI-ის მონაცემებით, კიბერდანაშაულის შედეგად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს 67 მილიარდი დოლარის ოდენობით ზარალი აქვს მიყენებული [8].

კიბერ-დანაშაულის განმარტება

კიბერ-დანაშაული, იგივე კომპიუტერული დანაშაული უკავშირდება ინტერნეტის ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ბოროტად გამოყენებას. კიბერდანაშაულს განმარტავენ, როგორც დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც მიმართულია კერძო პირთა ან პირთა ჯგუფების წინააღმდეგ; დანაშაულის მიზანია პირდაპირი თუ ირიბი განზრახვით შელახოს მსხვერპლის რეპუტაცია ან ფიზიკური, ფინანსური და მორალური ზიანი მიაყენოს მას; კიბერდანაშაულის იარაღია - კომპიუტერი, საკომუნიკაციო და მობილური სატელეფონო ქსელები.

კომპიუტერის გამოყენებით შესაძლებელია მთელი რიგი დანაშაულის ჩადენა, თუმცა, მათი დაყოფა ძირითადად ორ კატეგორიად შეიძლება:

- დანაშაული, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ კომპიუტერზე.
- დანაშაული, რომლის ჩადენისთვის გამოიყენება კომპიუტერი და რომლის სამიზნე დამოუკიდებელი ქსელები და აპარატებია [1].

კომპიუტერული დანაშაულის სახეობათა უმრავლესობას წარმოადგენს: ე.წ. „სპამი“, თაღლითობა, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი კონტენტის, ნარკოტიკული საშუალებებითა და იარაღით ვაჭრობა, კიბერ-ტერორიზმი და კიბერ-თავდასხმები (ომები).

„მაღალტექნოლოგიური დანაშაულები“ და მათ მიერ ჩადენილი კომპიუტერული დანაშაულის დახასიათება

დამნაშაულებმა, რომლებიც იყენებენ მაღალ ტექნოლოგიებს, ე.წ. პაკერებმა, დანაშაულის ახალი ფორმები და მიმართულებები შექმნეს. მათ უკვე არ იზიდავთ დანაშაულის ჩადენის ძველი მეთოდები. კომპიუტერული საშუალებები პაკერებს შესაძლებლობას აძლევს, მიზნის მიღწევისთვის სრულიად ახალი, აქამდე არნახული სქემები გამოიყენონ. თავიანთ ანგარებით მიზნებს ისინი კომპიუტერის მეშვეობით ახორციელებენ, კერძოდ, ქმნიან და გამოიყენებენ ე.წ. ვირუსებს ან ჩადიან სხვა სახის კიბერ დანაშაულს. არსებობს კომპიუტერული დანაშაულის სამი კატეგორია:

1. კომპიუტერი გამოიყენება, როგორც ელექტრონული ინფორმაციის შექმნის, შენახვის, მისით მანიპულაციის და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება. ამ შემთხვევაში კომპიუტერი არ არის დანაშაულის იარაღი, თუმცა, მისი მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს კრიმინალურ აქტივობასთან დაკავშირებული ქმედებები, მაგალითად, ამოღებულ იქნას (გადმოიქანოს) ნარკოდილერის შავი ბუღალტერია.
2. კომპიუტერი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დანაშაულის ინსტრუმენტი. ასე მაგალითად, მისი მეშვეობით შესაძლებელია დაიბეჭდოს ყალბი ფული, გაყალბდეს საბუთები, ინტერნეტში გავრცელდეს არასრულწლოვანთა პორნოგრაფია, ჩაიტვირთოს თაღლითური ვებ-გვერდები და ა.შ.
3. კომპიუტერი ასევე შეიძლება იქცეს დანაშაულის იარაღად. ამ შემთხვევაში თავდასმა ხორციელდება ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობაზე, მის მთლიანობასა და დაცულობაზე (ასეთია, მაგალითად, ინფორმაციისა და სერვისების მითვისება, კომპიუტერული ტექნიკის დაზიანება). ამ სახეობის დანაშაული უკავშირდება ვირუსების უკანონო გავრცელებას, სერვისებისა და

ქსელების არაავტორიზებულ დაბლოკვას. ასეთ დანაშაულს ხშირად ჩადიან ე.წ. „კიბერ-ვანდალები“. ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული კიბერ-თავდასხმების რაოდენობა [1].

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა

კომპიუტერული დანაშაულის ზრდასთან ერთად, საჭირო გახდა ახალი მარეგულირებელი კანონების შემუშავება. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს რამოდენიმე კონვენცია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აღიარებს კომპიუტერული დანაშაულის მაღალ საშიშროებას, ჯერ კიდევ არ არსებობს ცალსახად გამოკვეთილი საერთაშორისო თანამშრომლობა კიბერდანაშაულთან საბრძოლველად.

გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის (UNODC) სამდივნომ დანაშაულობის პრევენციისა და კრიმინალური იუსტიციის გაეროს მე-12 კონგრესისთვის მოამზადა კიბერ-დანაშაულთან დაკავშირებული პროექტი. კონვენციის პროექტში აღინიშნა, რომ „კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ გლობალური კონვენციის შემუშავება საჭიროებს საკითხისადმი ფრთხილ და გააზრებულ მიდგომას“. გაეროს კონგრესმა არ მიიღო კიბერ-დანაშაულთან ბრძოლის რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პროექტი. მიუხედავად ამისა, შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა აღნიშნულ საკითხში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის, რომელიც მჭიდროდაა გაერთიანებული გლობალური კომპიუტერული ქსელებით [13].

დღეისათვის ფუნქციონირებს გაეროს კონვენცია კიბერ-დანაშაულის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა ბუდაპეშტში 2001 წელს და რომელიც 2004 წლიდან შევიდა ძალაში. 2010 წლისთვის კონვენცია ხელმოწერილ იქნა 46 ქვეყნის მიერ, ხოლო მისი რატიფიცირება 26-მა ქვეყანამ მოახდინა. იმის მიუხედავად, რომ კონვენცია მიიღეს ევროსაბჭოს უკიდით, მას შეიძლებოდა არაევროპული ქვეყნებიც (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იაპონია, სამხრეთ აფრიკა) შეერთებოდნენ. მიუხედავად საკმაოდ ფართო მასშტაბებისა, აღნიშნულ კონვენციას ვერ ვუწოდებთ საერთაშორისოს, რადგან მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა მის მიერ დადგენილი ნორმები. თუმცა, ბუდაპეშტის კონვენცია, რომელიც 11 წლის წინ იქნა მიღებული, დღესდღეობით კიბერდანაშაულთან ბრძოლის ყველაზე ფართომასშტაბიანი სამართლებრივი დოკუმენტია და მისი ხელმოწერის შესაძლებლობა მსოფლიოს ყველა ქვეყანას აქვს.

საერთაშორისო კიბერდანაშაული

ტერორიზმის ტრადიციულმა მეთოდებმა თანამედროვე სამყაროში უფრო საშიში თვისებები შეიძინეს და ე.წ. „კიბერ-ტერორიზმის“ ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში ტერორისტებმა შეძლეს, მიეღწიათ სასიკვდილო იარაღისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კომბინაციური გამოყენებისთვის, რასაც სამართალდამცავები ჯერჯერობით არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. გამოწვევები იმდენად სერიოზულია, რომ სათანადო აქცენტების გარეშე „კიბერ ტერორიზმი“ კატასტროფულ და აუნაზღაურებად ზიანს მიაყენებს მსოფლიოს. „კიბერ ტერორიზმის“ ცნება გულისხმობს კომპიუტერული ტექნოლოგიების განზრახ გამოყენებას ნეგატიური მიზნებით, რაც იწვევს სხვისი მატერიალური ან არამატერიალური ინტერესების შელახვას. მაგალითად, დამნაშავე არაღებულად აღწევს კონკურენტი ფირმის კომპიუტერულ სისტემაში და შლის საჭირო და ფასეულ ბიზნეს-ინფორმაციის შემცველ ფაილებს; აღნიშნული კიბერ-ტერორიზმის ფორმად შეიძლება შეფასდეს.

კიბერ-ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებულ ყველაზე ციტირებად წყაროდ ითვლება დენინგის დაკითხვის ოქმი სპეციალური ზედამხედველობის კოლეგიის წინაშე (დენინგი 2000). დენინგის აზრით, „კიბერ-დანაშაული ტერორიზმისა და კიბერ სივრცის შეზავება (კონვერგენცია). დამნაშავეების უკანონო მოტივაცია, განახორციელონ კომპიუტერებზე თავდასმა ან თავდასხმის მუქარა, როგორც უცხო, ნათელია და მიმართულია ადამიანებისა და მთავრობების დაშინებისკენ, რათა მიღწეულ იქნას თავდასხმელთა პოლიტიკური თუ სოციალური მიზნები.

კიბერ-ტერორიზმის კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს კიბერ-თავდასხმა ადამიანებზე, ქონებაზე ან სხვა შიშის გამოიწვევ შედეგებზე. კიბერ-ტერორიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვირტუალური თავდასხმები, რომელთაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება, აფეთქება, თვითმფრინავის კატასტროფა, წყლის დაბინძურება, მნიშვნელოვანი ეკონომიური ზარალი და ა.შ. სერიოზული თავდასხმები სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე, დამდგარი შედეგის მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს კიბერ ტერორიზმად [3].

არსებობს „კიბერ ტერორიზმის“ 4 ფორმა. ესენია:

- *საიდუმლო ინფორმაციის უკანონო მიღება და მონაცემების მოპარვა.* საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიძლება გამოიყენონ ფასეული სახელმწიფო საიდუმლოს, კერძო ან იურიდიული პირების მონაცემების მიტაცებისათვის.

- ელექტრონული მართვის სისტემების განადგურება. ელექტრონული მართვის მიზანია ადამიანებისა და მოხელეების ურთიერთობების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ბიუროკრატიული ბარიერების მოშლა.
- ვირუსების (სპამის) გავრცელება. კიბერ-ტერორისტები ბლოკავენ კომპიუტერულ ქსელებს (denial of services - DDOS), რაც ხელს უშლის სახელმწიფო ელექტრონული ბაზებისა და სერვისების გამოყენებას. ისინი აინფიცირებენ სახელმწიფო ქსელში მყოფ ერთ ან რამოდენიმე არადაცულ კომპიუტერს და შემდეგ აკონტროლებენ მათ [6].
- ქსელის დაზიანება ან მისი მუშაობის შეფერხება. კიბერ ტერორისტების ძირითადი მიზანია ელექტრონული ქსელების წყობიდან გამოყვანა ან დაზიანება. ასეთი მეთოდებით ტერორისტები ცდილობენ უშიშროების სტრუქტურების ყურადღების გაფანტვას საკუთარი მიზნების მისაღწევად.

ზოგიერთი გახმაურებული კიბერ-დანაშაული

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა კიბერ-თავდასხმებმა დაამტკიცა, რომ ყველაზე ძლიერი დაცვის სისტემაც უძლურია მოიგერიოს შეტევა. საყოველთაოდ მიღებული კომპიუტერული აქსიომა გვეუბნება, რომ არ არსებობს დაცვა, რომლის „გატეხვა“ შეუძლებელია. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები [10]:

1. სასამართლო პროცესი: აშშ ოსოვსკის წინააღმდეგ (2001 წ.) - ჯოჯორი ოსოვსკი და ვილსონ თენგი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში Cisco Systems-ის „გატეხვისა“ და 8 მილიონი დოლარის მითვისებისთვის. Cisco Systems ერთერთი მსოფლიო ლიდერია ქსელურ გაყვანილობებში.
2. 2005 წელს პასუხისგებაში იქნა მიცემული არასრულწლოვანი, რომელმაც Microsoft Corporation-ის წინააღმდეგ განახორციელა წარმატებული კიბერ-შეტევა [7].
3. კევინ მიტნიკმა, ფინანსების მითვისების მიზნით, წარმატებით „გატეხა“ IBM, Motorola, NEC, Nokia, Fujitsu Siemens და სხვა კორპორაციები [11].

თუ ისეთი მეგაკორპორაცია, როგორცაა Microsoft, არასრულწლოვნის თავდასხმის ობიექტად იქცა, ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფესიონალი ჰაკერი ერთ დღეს ბირთვული იარაღის მკონტროლებელ პანელშიც შეიძლება შეღწეას.

კიბერდანაშაული საქართველოში

საქართველოში კომპიუტერიზაციის პროცესი გაცილებით გვიან დაიწყო, ვიდრე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. 21-ე საუუნის დასაწყისამდე პერსონალური კომპიუტერები იშვიათობა იყო ქართველების ოჯახებში. სწორედ ამან შეუწყო ხელი კიბერ-დანაშაულის დაგვიანებულ გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში. გარდა კომპიუტერიზაციისა, ნიშანდობლივია, რომ ჩვენში ინტერნეტის მასობრივი გამოყენებაც საკმაოდ დაგვიანდა.

ზემოთ ხსენებული ფაქტორების მიუხედავად, დღევანდელ საქართველოში უკვე იკვეთება კიბერდანაშაულის ზოგიერთი ნიშანი. ხშირ შემთხვევაში აღვიღობრივი პაკეტები მხოლოდ ზედაპირულ ზიანს აყენებენ ეკონომიკას, ან მათი არასამართლებრივი ხელყოფის ობიექტს უფრო ხშირად ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს. ასე თუ ისე, ქართველებს ჯერ არ უწვნივიათ კომპიუტერული დანაშაულის მძიმე შედეგები, როგორცაა, მაგალითად, კიბერ-ტერორიზმის დამანგრეველი მოქმედება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მოდუნება არ შეიძლება. თუ ქართველმა სამართალდამცავებმა სასწრაფოდ არ მიიღეს სათანადო ზომები, კიბერ-ზეწოლა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობაზეც შეიძლება განხორციელდეს [2].

კიბერ-დანაშაულთან დაკავშირებული მუხლები წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე და 38-ე თავებში. ამ სახეობის დანაშაულს სულ ოთხი მუხლი ეთმობა:

მუხლი №284. კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან, ესე იგი მანქანამატარებელზე, ელექტროგამომთვლელ მანქანაზე (ეგმ-ზე), ეგმ-ის სისტემაში ან მათ ქსელში ასახულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან მოპოვება ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მოშლა გამოიწვია, ასევე მობილური მოწყობილობის საერთაშორისო იდენტიფიკატორის შეცვლა.

მუხლი №285. ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა, რაც განზრახ იწვევს ინფორმაციის არასანქცონირებულ განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას ან გადაღებას, ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლას, აგრეთვე ასეთი პროგრამის ან ასეთი პროგრამის შემცველი მანქანა-მატარებლის გამოყენება ან გავრცელება.

მუხლი №286. ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვევებოდა ეგმ-ზე, ეგმ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე, რამაც გამოიწვია ეგმ-ის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაღება, ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია [5].

მუხლი №324(1). ტექნოლოგიური ტერორიზმი, ესე იგი ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიოაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება ან მისი ხელში ჩაგდება ან/და გამოყენების მუქარა, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, რაც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ხელისუფლების ორგანოზე, სახელმწიფოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედების მიზნით.

2010 წლის 24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა შემდეგი ცვლილებები:

- ✓ კიბერდანაშულის ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- ✓ ინტელექტუალური საკუთრების არასამართლებრივი გავრცელება;
- ✓ „არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის“ კანონმდებლობის განვრცობა;
- ✓ კანონმდებლობის – “დანაშაულებრივი შეღწევა კომპიუტერულ სისტემაში“ განვრცობა;
- ✓ კანონმდებლობის – „კომპიუტერული ინფორმაციის დანაშაულებრივი გამოყენება“ განვრცობა.

დასკვნა

„მაღალტექნოლოგიური დანაშაულები“ ორი მიზეზით წარმოადგენენ სერიოზულ პრობლემას მსოფლიოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის. პირველი, კომპიუტერული დანაშაული ძნელად გამოსაძიებელია, რადგან პირს შეუძლია დანაშაული ჩაიდინოს ინტერნეტ-ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან (როგორც სახლიდან, ისე მის გარეთ). მეორე, იმის მიუხედავად, რომ ჰაკერების წინააღმდეგ არაერთი წარმატებული სპეცოპერაციაა განხორციელებული, სამართალდამცავი ორგანოები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად ეკიპირებულები იმისთვის, რომ ძირფესვიანად აღმოფხვრან აღნიშნული პრობლემა. ცალსახაა, რომ მომავლის პოლიცია უკეთ უნდა მოემზადოს მოცემული ფენომენის დასაძლეად.

თანამედროვე საქართველოში კიბერ-დანაშაულთან მებრძოლი სპეციალისტების, შესაბამისი ლიტერატურის აშკარა ნაკლებობაა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის კიბერ-დანაშაულებებისა და ტერორისტების საქმიანობისთვის. კიბერ-გართულებების თავიდან აცილებისთვის აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემები უმოკლეს ვაღებში იქნას გადაწყვეტილი სახელმწიფო დონეზე.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Adler F., Mueller G, Laufer W. 2008. *Criminology and Criminal Justice System*. Edition 5th.
2. Alasania G. International Cooperation as a Strategy of Prevention and Fighting with terrorism in Georgia. <http://transcrime.cs.unin.it/tc/fso/>
3. Gordon S., Ford R. Cyberterrorism? Symantec Security Response. <http://www.symantec.com/avcenter/reference/cyberterrorism.pdf>
4. Harley B. A Global Convention on Cybercrime? on March 23rd, 2010. <http://www.stlr.org/2010/03/a-global-convention-on-cybercrime/>
5. Tsatsanashvili M., Sikharulidze T. 2007. Law Problems of Cyber terrorism in Georgia. *Cybersecurity*. Tbilisi.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2010.
7. Cyber Terrorism - The Dark Side of the Web World. <http://www.legalserviceindia.com/article/1169-Cyber-Terrorism.html>
8. FBI 2005 Internet crime survey. <http://www.digitalriver.com/v2.0-img/operations/naievigi/site/media/pdf/FBIccs2005.pdf>
9. Internet and Electronic Crimes. 11/05/2011 National Institute of Justice USA. <http://nij.gov/topics/crime/internet-electronic/welcome.htm>
10. United States Department of Justice – Computer Crime and Intellectual Property Section
11. Wikipedia - http://en.wikipedia.org/wiki/Kevin_Mitnick
12. Understanding and Responding to Terrorism. 2007. *NATO – Security through Science*, Vol.
13. <http://www.computerweekly.com/news/1280092617/UN-rejects-international-cybercrime-treaty>

ბიზნესი და მართვის სექტორი

ნატა ადგიშვილი
გრივლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი

**საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის
მართვის თანხმეზრევები**

უმაღლესი განათლება, განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბლოკი და მუდმივად განვითარებადი კომპონენტია. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება და რეფორმა გატარდა. 2004 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია, ხოლო 2005 წელს საქართველო ბერგენის სამიტზე შეუერთდა ბოლონის პროცესს.

უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვავს საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, ხოლო მათ ადასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თავის მხრივ, სამინისტრო გამოსცემს რეგულირების და პოლიტიკის აღსრულების ცალკეულ წესებს როგორც საკუთრივ სისტემის ორგანოების, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის.

საქართველოში მოქმედებს 129 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც 20 სახელმწიფოა, ხოლო 109 - კერძო. მოქმედი დაწესებულებებიდან 52 აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელთაგან 20 საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ხოლო 32-კერძო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების 70% მდებარეობს თბილისში, ხოლო დანარჩენი რეგიონებში. საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში სამივე საფეხურზე და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე სწავლობს 85 ათასამდე სტუდენტი, ხოლო მათ განათლებას უზრუნველყოფს 6,6 ათასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირება ძირითადად ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესებით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებული იქნა 2004 წლის 21 დეკემბერს, აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს.

კანონით, დადგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3 სახეობა: 1. უნივერსიტეტი; 2. სასწავლო უნივერსიტეტი; 3. კოლეჯი. ამასთან, თითოეული მათგანი შეიძლება არსებობდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. დღეს საქართველოში რაოდენობრივად ყველაზე გავრცელებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ფორმით შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შემდეგ მოდის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ფორმით შექმნილი, ხოლო ყველაზე მცირეა არასამეწარმე იურიდიული პირის ფორმით (აიპ) შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. სახელმწიფოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება შეუძლია მხოლოდ სსიპ-ის ფორმით, თუმცა კანონში შეტანილი ცვლილებებით 2010-2011 სასწავლო წლიდან სახელმწიფო შეიძლება აიპ-ის ფორმითაც დაფუძნებას.

მოქმედი კანონმდებლობის და ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში აკადემიური უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია:

- პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
- მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
- მესამე საფეხური (დოქტორანტურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს ბიზნესის განვითარება, მისი ფუნქციონირების მექანიზმების სრულყოფა და მასში დასაქმებულ ადამიანთა რიცხოვნობის ზრდა წარმოადგენს. გვემიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად საქართველოში შესაძლებელი გახდა და საშუალება მიეცა მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებას. როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, საერთოდ ბიზნესის და განსაკუთრებით საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებამ წარმოშვა მოთხოვნა მაღლკვალიფიციურ ბიზნეს-ადმინისტრატორებსზე და ე.წ. ტოპმენეჯერებსზე (ბიზნესის მმართველებზე). ეს უკვე ჩამრყალიბებული

ტენდენციაა - მსოფლიოს დიდი თუ მცირე კორპორაციები და კომპანიები მუდმივად ზრდიან მაღალკვალიფიციურ მენეჯერებზე მოთხოვნას. სწორედ ამ ტენდენციის შედეგია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში იზრდება MBA - ს აპლიკანტთა რიცხვი. გლობალიზაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია დიდ გავლენას ახდენს ბიზნესზე და აიძულებს მას მუდმივ განახლებასა და ცვლილებების განხორციელებას. ბიზნესები აღარ არიან მოქცეული ერთი ქალაქის ან ქვეყნის ფარგლებში და ბიზნესის მმართველები სულ უფრო ხშირად ერთეებიან უცხოურ (საზღვარგარეთის) კომპანიებთან თუ ცალკეულ პირებთან გარიგებებში.

მოელ მსოფლიოში აქტუალური ხდება თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისი ბიზნეს ადმინისტრატორების მომზადების საკითხი. ამ ფონზე საქართველოშიც აუცილებელი გახდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროგრამების შექმნა, რათა საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ უცხოეთში წასვლისა და სოლიდური თანხების გაღების გარეშე ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მენეჯერებად და შეძლონ კონკურენცია გაუწიონ უცხოეთში მომზადებულ მენეჯერებს.

საქართველოში მოქმედმა, ნებისმიერმა მსხვილმა თუ საშუალო კომპანიამ, ამა თუ იმ დონით, მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო ვაჭრობასა თუ სხვა პროცესებში, რადგანაც იშვიათია კომპანია, რომელიც ყველა ოპერაციას მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში ატარებს. ეს მოითხოვს, რომ საქართველოში მომზადებული მენეჯერები შეესაბამებოდნენ საერთაშორისო დონეს და შეეძლოთ მსგავსი ოპერაციების წარმატებით და უმაღლესი ეფექტურობით განხორციელება.

მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი დონის მენეჯერები რომლებიც შეძლებენ მართონ ბიზნესები განვითარებული მსოფლიოს ბაზრებზე მიმდინარე სწრაფი ცვლილებებისა და მაღალი ტემპის ფონზე. ამ მიზნის მისაღწევად თეორიული ცოდნის გადაცემის გარდა აუცილებელია სტუდენტებმა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სტაჟირების გავლით ან სხვა აქტივობების სახით.

ევროკავშირი უკანასკნელი წლების განმავლობაში მისწრაფის განათლების სისტემის სტანდარტიზებისკენ, რაც ბოლონის პროცესის სახელითაა ცნობილი. ამ პროცესის მთავარი მიზანია, რომ ევროპაში აკრედიტებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიერ სტუდენტებისათვის შეთავაზებული პროგრამები შეესაბამებოდეს ერთიან სტანდარტებს. აღნიშნული მიდგომა გაუადვილებს კურსდამთავრებულებს მუშაობა დაიწიონ ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში,

რადგანაც პოტენციურ დამსაქმებლებს აღარ გაუჭირდებათ კანდიდატის კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის შემოწმება/დადასტურება.

საქართველოსათვის წინადადებულ ნაბიჯად ითვლება ბოლონის პროცესთან მიერთება და 2010 წლისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების სისტემის შექმნის მიზნად დასახვა, თუმცა ბოლონის პროცესის მონაწილე სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველო უფრო პრობლემური ამოცანების წინაშე დადგა, რადგანაც შეერთების თარიღის მიუხედავად, (2005 წელი) მიზანს (განათლების სისტემის ერთიან სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა) ყველა მონაწილემ 2010 წელს უნდა მიაღწიოს, ხოლო ფორსმაჟორულ სიტუაციაში გატარებულ განათლების რეფორმას შეიძლება უკუშედეგები მოყვეს. მართალია საქართველოში კრედიტების სისტემის შემოღება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადი მოთხოვნების დაყენება წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ევროპული სტანდარტების შესაბამისად განისაზღვროს თითოეული სამაგისტრო (და საბაკალავრო) კურსის ჩარჩოები და შინაარსი. ეს გულისხმობს, რომ სტუდენტს, რომელსაც უკითხავენ კორპორაციულ ფინანსებს საქართველოს ნებისმიერ უნივერსიტეტში უნდა მიაწოდონ იგივე მასალა (შეიძლება სხვა მეთოდით) რასაც აწოდებენ სტუდენტს ევროპის ნებისმიერ სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ასე რომ, საქართველოში მოკლე დროში უნდა მოიყვანოს განათლების სისტემა ბოლონის პროცესის სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც უდავოდ რთული ამოცანაა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ მონაცემებს უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით, რომლებიც მსმენელებს სთავაზობენ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას (2011 წლის მდგომარეობით), წარმოვიდგინოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით.

ცხრილი 1. უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის მაჩვენებლები ტერიტორიული და სამართლებრივი ფორმის პრინციპის მიხედვით, რომელთა აკადემიური პროგრამები მოიცავს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებს.

	სახელმწიფო	კერძო	სულ	პროცენტი
თბილისი	7	20	27	67,50%
რეგიონები	9	4	13	32,50
სულ	16	24	40	
პროცენტი	40%	60%		100%

წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმირების რამოდენიმე წლიანი აქტივობები მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაახლოების თვალსაზრისით. გატარებულ რეფორმათა შედეგად მოხდა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სისტემის შემოღება, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სასწავლებლებში მიღების პრაქტიკის დანერგვა, კრედიტების დაგროვების ევროპულ ECTS სისტემაზე გადასვლა, სასწავლო პროგრამების და კურიკულუმების განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება და სხვა. შედეგად, უმაღლესი განათლების სისტემაში მოქმედ სასწავლებლებს შორის გაიზარდა კონკურენცია, რაც სწავლის ხარისხში აისახა.

გამომდინარე იქიდან, რომ უმაღლესი განათლების სისტემა მსოფლიოში არა უცვლელი, არამედ დინამიური სისტემაა, მუდმივად ხდება მისი სრულყოფა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამდენად, აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ფეხი აუწყოს მსოფლიო განათლების რიტმს და გახდეს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულად.

უნდა აღინიშნოს რომ უკვე 2012 წელია და აქედან გამომდინარე აქტუალურია გამოკვლევები იქნეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა და მათ შორის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს არსებული ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამები (მათ შორის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამები) და მომზადდეს რჩევები და წინადადებები რომლებიც საშუალებას მისცემენ უნივერსიტეტებს, თუნდაც დაგვიანებით მოახდინონ საკუთარი სასწავლო პროგრამების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

ბამოქმენებული ლიტერატურა

1. საქართველო. საქართველოს პარლამენტი, 2004 წლის 21 დეკემბერი, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“- *საკანონმდებლო მაცნე*.
2. თბილისი, საქართველო, „უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები- აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით“, 2008 წელი. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM).
3. ბერინგის სამიტი, ბოლონის პროცესი 2005 წ. ბოლონის ხელშეკრულება.

აღექსანდრე აზმაიფარაშვილი
გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი

სოციალური მედიის როლი ბიზნესში

ბოლოდროინდელი ტენდენციები იმაზე მიუთითებს, რომ ინფორმაციის როლი ერთი ორად გაიზარდა, როგორც ბიზნესში, ისე სხვა სფეროებში. ინტერნეტის განვითარებამ საგრძნობლად დააჩქარა ბიზნეს პროცესები, აღნიშნულმა კი მკვეთრად გაზარდა ღირებული ინფორმაციის ფასი. საზოგადოება ბევრად უფრო ინფორმირებულია. ეს ფაქტი უბიძგებს მწარმოებლებს თუ მენეჯერებს გამოიყენონ ისეთი გზები, რომელთა მეშვეობითაც უკეთ შეძლებენ საკუთარი პროდუქტის მომხმარებელად მიტანას და ბრენდის განვითარებას. ერთ-ერთი ასეთი გზა კი სოციალური მედიაა, რომელიც საკმაოდ სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება. სოციალური მედიის მაგალითებად შესაძლებელია დავასახელოთ ფორუმები, სოციალური ქსელები, გვერდები სადაც ტვირთავენ მუსიკებს, ვიდეოებს, სურათებს, ბლოგები, ენციკლოპედიური გვერდები და სხვა. ამ ეტაპზე მომხმარებელთა და ბიზნესის ყურადღება უფრო მეტად Facebook-ს ეთმობა. გვხვდება კომპანიები, რომლებიც იყენებენ მაგალითად: Youtube-ს, Twitter-ს, ბლოგებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ქმედებები, ისევე Facebook-ის გვერდის მხარდასაჭერად ხორციელდება.

სოციალურ მედიასა და ტრადიციულს შორის განსხვავება ის არის, რომ მომხმარებელს შეუძლია გამოთქვას აზრი, ჩაებას დისკუსიაში ფირმის წარმომადგენელთან, ეს კი საერთო ჯამში დადებით ეფექტს გვაძლევს, რაც მომხმარებელთა ღოიადობის ამადლებით და ბრენდის განვითარებით გამოიხატება. როგორც გამოჩნდა Facebook-ი მარკეტინგული ინსტრუმენტის სახით გვევლინება და ბევრი დიდი თუ მცირე ბიზნესი უკვე აქტიურად იყენებს ამ ინსტრუმენტს. ფაქტია საიტის შექმნა, სოციალური მედიის გვერდის გაკეთება, ეს არის მხოლოდ დასაწყისი და ამის შემდეგ იწყება ნამდვილი სამუშაო. ამ ეტაპზე ხდება ინტერნეტ სივრცეში უბრალოდ ადგილის დაკავება, რის შემდეგაც საჭიროა გეგმაზომიერი ნაბიჯები, იმისთვის რომ მიღწეულ იქნას ფირმის მიერ დასახული მიზნები. როგორც მარკეტინგიდანაა ცნობილი, ბაზარზე მყარი პოზიციის დამკვიდრებისთვის საჭიროა ზუსტი სეგმენტის შერჩევა. ამ შემთხვევაში Facebook-ს გააჩნია ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ პროდუქტის თუ მომსახურების რეკლამა, რომელიც გათვლილი იქნება ჩვენთვის სასურველ სეგმენტზე. სეგმენტები შეირჩევა სქესის, ასაკის, ადგილმდებარეობის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. აღნიშნული მექანიზმი თითქმის გამორიცხავს სარეკლამო ბიუჯეტის არაეფექტურად

ხარჯვას. თუმცა რეკლამასთან ერთად საჭიროა თვითონ სოციალურ მედიაში არსებული ბიზნეს გვერდის განვითარება, რაც სტანდარტული მეთოდების და სხვადასხვა აპლიკაციების საშუალებით მიიღწევა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ უნდა ავცდეთ ბიზნესის მიერ დასახულ მიზნებს, რომ არ მოხდეს სარეკლამო ბიუჯეტის და დროის ფუჭად ხარჯვა. იმისთვის, რომ კომპანიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სოციალური მედია საჭიროა გარკვეული პრინციპების დაცვა, რასაც Facebook-ის მაგალითზე განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაეხვას იმას, რომ სოციალური მედია ორმხრივი კომუნიკაციების სფეროა და ბიზნესის წარმომადგენლები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ უშუალო კონტაქტი დაამყარონ მომხმარებელთან. იმ შემთხვევაში თუ ამ ამოცანას ბიზნესი თავს წარმატებით გაარმევეს, გამოჩნდება ის მიმართულებები, რომლებიც ღირებული იქნება პროდუქტის ან მომსახურების გვერდი და მიზნობრივი სეგმენტი ხშირად გამოთქვამს კმაყოფილებას ამა თუ იმ პროდუქტის მიმართ, რომელსაც კომპანია აწარმოებს, თუმცა ნეგატიური შეფასებებიც მოითხოვს კომპანიის მხრიდან ყურადღებას. იმ შემთხვევაში თუ კომპანია გაგებით მოექიდება ნეგატიურ შეფასებას და სწორ დასკვნებს გამოიტანს, მას ექნება განვითარების საშუალება და ამავე დროს მომხმარებლებიც მეტად ლოიალურები იქნებიან. საპირისპირო შემთხვევაში კი შესაძლოა მომხმარებელთა დამოკიდებულების გაუარესება. განსაკუთრებით უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს კომენტარების წაშლამ. ამან შეიძლება “სთრეიხანდის ეფექტამდე” მიგვიყვანოს. ეს ტერმინი ცნობილი მსახიობის ბარბარა სთრეიხანდის მცდელობას უკავშირდება, სასამართლოს ძალით ამოეშალა ინტერნეტ სივრციდან მისი სახლის ფოტო, რაც საბოლოოდ ამ ფოტოს უფრო ფართო მაშტაბით გავრცელებით დამთავრდა. მომხმარებელთა კომენტარების გარდა საყურადღებოა თვითონ კომპანიის მიდგომა და შედგენილი პოსტები. ბიზნესი უნდა ცდილობდეს, რომ საკუთარი პროდუქტის პრომოუშენი არ გადატვირთოს ზედმეტი, არაფრის მომცემი ინფორმაციით, აგრეთვე გულწრფელობა არანაკლებ საყურადღებოა, რადგან სოციალურ მედიაში ტყუილის აღმოჩენა, როგორც წესი არც თუ ისე რთულია. თუ მაინც მოხდება არასწორი შეტყობინების გავრცელება, ამ დროს აუცილებელია ამის აღიარება, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს მომხმარებელთა ლოიალურობა იმასთან შედარებით, რაც არასწორი ინფორმაციის გავრცელებამდე გაქონდა.

იმისთვის, რომ ორგანიზაციამ შეაფასოს Facebook-ზე მომხმარებელთა აქტიურობის დონე, ძირითად მაჩვენებლად გამოიყენება Like-ების რაოდენობა. ამ კუთხით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ Like-ების სიჭარბე არ უნდა წარმოადგენდეს კომპანიის მიზანს. Like-ი უნდა აღნიშნავდეს რეალურ

დანიტერესებას მომხმარებლის და არა უბრალოდ, ერთჯერად ქმედებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ Facebook-ი ზღუდავს პოსტების გამოქვეყნებას იმ მომხმარებელთან, რომელთანაც უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში არანაირი შეხება არ ჰქონია ანუ არ იყო ურთიერთქმედება. მაგალითისთვის, შესაძლებელია რეალური 10000 Like-იდან, მხოლოდ 1000 იყოს აქტიური. ამ სიტუაციისგან განსხვავებით, როდესაც გვაქვს 1000 Like-ი, პოსტი შესაძლებელია გავრცელდეს 5000 ან უფრო მეტ მომხმარებელთან. ეს დამოკიდებულია პოსტით დანიტერესების დონეზე. აქედან გამომდინარე ბიზნეს გვერდზე არსებული მასალა უნდა იყოს საინტერესო და ხარისხიანი. ხშირად კომპანიები მიმართავენ სხვადასხვა აპლიკაციებს, რომლებიც უფრო სახალისოს ქმნიან გვერდს და აჩქარებენ მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას. მაგალითად, შესაძლოა შეიქმნა პროდუქციის კატალოგი და მომხმარებელს მიეცეს შესაძლებლობა სახლიდან გაუსვლელად გააკეთოს შეკვეთა. კომპანიები ან ქირაობენ სპეციალიზირებულ მარკეტინგულ ფირმებს ან თავისი რესურსებით ახორციელებს ამ საქმიანობას. რაც უფრო რთულია აპლიკაცია, მით უფრო მეტია სპეციალიზირებული ფირმის გამოყენების ალბათობა. ამის გარდა, ზოგიერთი ფირმა აცხადებს კონკურსებს, მაგალითად სურათებზე. გამარჯვებული წახალისდება ფულადი პრემიით და ამავე დროს მისი სურათი გახდება პოპულარული და შესაძლებელია ბრენდის რეკლამაშიც იქნას გამოყენებული. ამ გზას მიმართა "Domino's Pizza"-ს გვერდმა Facebook-ზე. მათ გამოავლინეს საუკეთესო პიკის სურათი, ფოტოს ავტორი კი 500 დოლარით დააჯილდოვეს. ამ ღონისძიებამ არაერთი ახალი Like-ი და მომხმარებელი გაუჩინა კომპანიას. სოციალური მედიის მრავალრიცხოვანი სეგმენტი ელის რაღაც ახლის და საინტერესოს შეთავაზებას, რაზედაც კომპანიის წარმომადგენლებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ, თუმცა, რატომუნდა არ უნდა მოხდეს ძირითადი მარკეტინგული შინაარსიდან მკვეთრი გადახვევა.

მცირე ბიზნესსაც, რომელიც თავის თავს ვერ მისცემს იმის ფუფუნებას, რომ მაშტაბური მარკეტინგული ღონისძიებები მოაწიოს, ეძლევა შანსი სოციალური მედიის ფარგლებში მიაღწიოს სასურველ შედეგებს, იქნება ეს პროდუქტის მეტი ცნობადობა თუ გაყიდვების მოცულობის ზრდა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ Facebook-ის სტანდარტული ფუნქციების გამოყენება და პერიოდული რეკლამების გაკეთება სასურველ სეგმენტზე, რაც შედარებით ნაკლებად ხარჯიანია. მთავარია, როგორც უკვე აღინიშნა, პრომოუშენის სწორად განხორციელება, ეს კი პირველ რიგში ბიზნესის მხრიდან გახსნილობას და კომპანიის და მომხმარებლის ურთიერთქმედებას გულისხმობს. ამის გარდა კომპანიები უნდა ცდილობდნენ ხშირად განაახლონ საკუთარი გვერდი, იქნება ეს Facebook-ი თუ სხვა სოციალური ქსელი. ბიზნეს გვერდი უნდა იყოს განსხვავებული, კონკურენტი კომპანიების გვერდებთან შედარებით. ეს ვლინდება პროდუქტთან დაკავშირებული სტრატეგიით, გვერდის დიზაინით, აპლიკაციების

მრავალფეროვნებით, აპლიკაციების სიხშირით. მაგალითად, DELL-ის Facebook-ის გვერდზე ხშირად გვხვდება ინფორმაცია კომპანიის ახალი პროდუქტების შესახებ.

სოციალური ქსელის ბიზნეს გვერდის განვითარების საკითხში ყურადღება ექცევა ისეთ დეტალებსაც როგორცაა, მაგალითად, ვებ გვერდის მისამართის დახვეწილი სახელი, ნაცვლად არაფრის მთქმელი ციფრებისა. აღნიშნულის გარდა შესაძლებელია სხვა სტანდარტული ფუნქციების გამოყენება, როგორც არის ერთგული კლიენტების სურათების დაპოსტვა და მათთვის მონიშვნის მიცემის უფლება, აგრეთვე იყენებენ ერთი სოციალური ქსელიდან მეორეში გადასასვლელ შესაძლებლობას, კომპანიის საიტიდან სოციალურ ქსელზე გადასვლის შესაძლებლობას, კომპანიის საიტზე არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც სოციალურ ქსელს უკავშირდება და სხვა.

როგორც დიდი, ისე მცირე ფირმებისთვის, პრიორიტეტული უნდა იყოს ურთიერთობების განვითარება, არამარტო მომხმარებელთან, არამედ იმ ინდუსტრიის მოთამაშეებთან, რომელშიც თავის საქმიანობას ახორციელებენ. შუამავალებთან ურთიერთობა ზრდის სარგებლიანი კონტრაქტების დადების ალბათობას, რაც შეეხება კონკურენტებთან ურთიერთობას, ეს სტრატეგიული კავშირების შექმნას უწყობს ხელს.

სოციალური მედია მაინც ახალი ხილია და იმ წარმატებებთან ერთად, რომელიც ამ სფეროში არსებულმა გამოცდილებამ მოიტანა, გარკვეულმა წარუმატებლობებმაც იჩინა თავი. ეს გამოწვეული იყო შეცდომებით, რომლებსაც ესე თუ ის კომპანია უშვებდა სოციალურ მედიის გამოყენების მხრივ. შეცდომები მრავალი სახის გვხვდება, თუმცა შესაძლებელია გამოვყოთ ისეთები, რომლებიც უფრო მეტად გავრცელებულია. დაიწყოთ იმით, რომ ბევრ ფირმას, რომელიც უერთდება სოციალურ მედიას ავიწყდება მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი – მომხმარებელთან უშუალო კავშირი. აქ ხდება ბრენდის შესახებ მსჯელობა, სარეკლამო მიმართულებების შეფასება და სხვა. ხშირად, ბიზნესის მიერ სწარაფად ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა მოუტანოს სოციალურმა ქსელმა მას დამატებითი შემოსავალი. ასევე ივრწყებიან, რომ ადამიანები სოციალურ ქსელებში ერთიანდებიან იმისთვის, რომ დაამყარონ კავშირები და იგრანონ თავი გაერთიანების წევრად. ამის გარდა, ბევრი მცირე ბიზნესი სწორად ვერ აფასებს დროის ფაქტორს. ისინი ფიქრობენ, რომ წარმატება უკვე გარანტირებული აქვთ, რადგან მათ უკვე შექმნეს, მაგალითად Facebook-ის გვერდი. ეს მცდარი შეხედულებაა. მომხმარებელი უნდა დაინტერესო შენი პროდუქტით და პრომოუშენის მრავალფეროვნებით.

სოციალურ მედიაში ადგილის დაპყიდრება პასუხისმგებლობაცა არის და ბიზნესის წარმომადგენლები და განსაკუთრებით მარკეტერები ამას კარგად

უნდა აცნობიერებდნენ. კიდევ ერთი გავრცელებული შეცდომა არის ის, რომ კომპანია არ ითვალისწინებს მომხმარებელთა სოციალურ ქსელში გაწვევიანების ერთ-ერთ მიზესს – დახვეწებას და გართობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ ფირმამ არ უნდა შეაწიროს თავი მომხმარებლებს ერთფეროვნებით და მათ განწყობაზეც უნდა იფიქროს, ისე რომ, არ გაცდეს მთავარ თემას. ამათან საყურადღებოა ისიც, რომ მისი ქცევა არ გახდეს ავტომატური და ხშირად სთავაზობდეს სიახლეებს მომხმარებლებს ან როგორც მინიმუმ მოახდინოს სოციალური ქსელის სტანდარტული ფუნქციების გამოყენების დახვეწილი კომბინირება. შეცდომების მაგალითად შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ, ბიზნეს გვერდისთვის სტანდარტული გვერდის შექმნა, რომელსაც მომხმარებლები იყენებენ, არასრულყოფილი ინფორმაცია, დამხმარე სტატისტიკის გამოუყენებლობა, ჩამოტრილი ლოგო პოსტების ადგილას და სხვა. ეს ყველაფერი კი მოქმედებს უარყოფითად კომპანიის რეპუტაციაზე, განსაკუთრებით კი შედარებით მოზრდილი კომპანიის რეპუტაციაზე, რომელსაც უკვე გააჩნია მომხმარებელთა გარკვეული სეგმენტი. რაც შეეხება მცირე ბიზნესს, მათი შეცდომები შესაძლოა შედარებით ნაკლებად ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით კი საწყის ფაზაში. მცირე ბიზნესის უპირატესობებიდან აღსანიშნავია, მომხმარებელთან უშუალო და სწრაფი კავშირის შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს Facebook-ზე გაწვევიანებისას ამ ფაქტორს, ხშირად, არ მიმართავენ აქტიურად, რაც გამოუცდებლობას შეიძლება მივაწეროთ. ეს ფაქტორი სერიოზულ აქტივს წარმოადგენს მცირე ბიზნესისთვის და სოციალური ქსელი მეშვეობით ამ აქტივის ფასი უფრო იმატებს. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს სოციალური მედიის მონაცემებით კომპანიის ეფექტიანობა. პრაქტიკიდან გამომდინარე მარკეტერების უმრავლესობა იყენებს მანქანებულს, რომელიც თვლის უკუგებას ინფორმაციებზე. პირველ რიგში განისაზღვრება გვერდის დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა ღონისძიებებს, რეკლამებს, აპლიკაციებს და სხვა. თუ კლიენტების ქცევასაც ღირებულად მივიჩნევთ ამ შემთხვევაში უფრო რთულდება ეს პროცესი, რადგან ძნელია წინასწარ განსაზღვროთ თუ რას მოიტანს ამა თუ იმ კლიენტის რეაქცია, გამოიწვევს ეს დადებით თუ უარყოფით ფულად ნაკადებს. მარკეტერების ერთი ნაწილი კვლავ მოითხოვს რაოდენობრივ მანქანებულს შედეგების შესაფასებლად, ხოლო მეორენი კი დარწმუნებულები არიან სოციალური მედიის აუცილებლობაში, მიუხედავად რეალური რაოდენობრივი პროგნოზების არარსებობისა. მენეჯერები, რომლებიც რაოდენობრივ ინფორმაციას მოითხოვენ მოკლევადიან მიზნებზე არიან ორიენტირებულები, ხოლო მეორენი კი – გრძელვადიან მიზნებზე. სტატისტიკა მოწმობს, რომ სოციალური მედია განვითარების გზაზე და ყოველ დღე მატულობს, როგორც მომხმარებელთა გვერდები, ისე ბიზნესის წარმომადგენლები, რაც საერთო ჯამში ერთ დიდ ინტერნაციონალურ ბაზარს ქმნის. სემოთ მიცემულიდან

გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ სოციალურ მედიაზე, როგორც მარკეტინგის მძლავრ ინსტრუმენტზე, რომლის სწორი გამოყენებით შესაძლებელი იქნება კომპანიის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მიზნების მიღწევა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. <http://blog.socialmaximizer.com>
2. <http://mashable.com>
3. <http://www.gaebler.com/Importance-of-Social-Networking.htm>
4. <http://www.smallbusinessbranding.com/2985/the-importance-of-social-networking-for-small-businesses/>
5. <http://www.businessweek.com/technology/network-effects-social-medias-role-in-the-london-riots-08082011>
6. <http://soshable.com/social-networking-for-business-8-tips-on-how-to-relate-and-communicate/>
7. <http://www.asiaentrepreneurshipjournal.com/AJESII3Tesfom.pdf>

გვანცა ბურდული
გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამეცნიერო პროგრამის I დონის სტუდენტი

**მულტინაციონალური კონცერნების ფუნქციონირების თავისებურებები
საქართველოში (კომპანია „იკეას“ მაგალითზე)**

საქართველოში ავეჯის ბიზნესი ერთ-ერთი პოპულარული ბიზნესია. კრიზისის შემდეგ ეს ბიზნესი კიდევ უფრო გამოცოცხლდა. ავეჯის მაღაზიები, რომლებმაც კრიზისი გადაიტანეს, ამბობენ, რომ მძიმე პერიოდს მხოლოდ ის გადაურჩა, ვინც უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ავეჯის ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი იმასაც ამბობს, რომ ცუდ ამბებს კარგი მხარეებიც აქვს ხოლმე და რომ “ფინანსური კრიზისი, ერთი მხრივ, კარგიც იყო, ავეჯის ბიზნესში ძლიერები დატოვა და ბაზარი დააღაბა”. ქართულ ბაზარზე ავეჯის ბიზნესში ჩართული სულ უფრო და უფრო მეტი მოთამაშე ფიქსირდება. ადგილობრივ ბაზარზე კონკურენცია ნამდვილად იგრძნობა, ბაზარზე მოთამაშე ფირმების ნაწილი ავეჯს აწარმოებს, ნაწილი ყიდის, ნაწილი კი იმპორტითაა დაკავებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოდან ავეჯი ექსპორტზეც გადის და შუა აზიის ბაზარზე იყიდება.

მსოფლიოს გავლენიანმა ბიზნეს-გამოცემა “ფორბსმა” მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბრენდების სია გამოაქვეყნა. სიაში პირველი ადგილი მულტინაციონალურმა კონცერნმა IKEA-მ დაიკავა. კომპანია 1943 წელს დაარსდა და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. დღეისათვის იკეას ქსელი აერთიანებს 180-ზე მეტ მაღაზიას 50 ქვეყანაში. ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის იკეა ასაწყობი ავეჯისა და საყოფაცხოვრებო აქსესუარებისა და ტექნიკის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწარმოებელია. ბიზნესმენებისათვის და მარკეტოლოგებისათვის კი – “შვედური “ნოუ-ჰაუს” ყველაზე ცნობილი და მისაბაძი მაგალითი. კომპანია იკეას სახელმა ელვის სისწრაფით დაიწყო გავრცელება როგორც იაფი ავეჯის მაღაზია. იკეას ავეჯი შექმნილის ეკონომიური და სიახლის მოყვარული ადამიანებისათვის, რომლებიც უპირატესობას პრაქტიკულ და მარტივ ავეჯს ანიჭებენ.

უნიკალური დიზაინისა და ნოვატორული საყოფაცხოვრებო იდეების გარდა იკეა იმითაცაა ცნობილი, რომ მისი ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა სხვა მწარმოებელთა მიერ შექმნილ ანალოგებზე გაცილებით უფრო იაფია. თუმცა, დაბალი ფასი აქ უხარისხობას ნამდვილად არ ნიშნავს. იკეას მთავარი მარკეტინგული ხრიკი მისი პროდუქციის ხელმისაწვდომ ფასებში მდგომარეობს. IKEA-ს მაღაზიები მთელს მსოფლიოშია გაფანტული, სადაც უამრავი ადამიანი დადის და უამრავ, უსარგებლო ნივთებსაც კი ყიდულობს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ყიდულობენ არა შემთხვევით, არამედ შევდი ავეჯის

დამამზადებლების ძალისხმევით შედეგად, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს ეყრდნობა.

ერთ-ერთი უპირველესია დაბალი ფასები - ეს მთავარია, რაზეც კომპანია ნახევარი საუკუნეა აკეთებს აქცენტს. მომხმარებლებს გამუდმებით ახსენებს ამას რეკლამა, ხოლო მაღაზიებში ამას ყოველ 50 მეტრში შეგასხენებენ. ცოტამ თუ იცის, რომ როცა IKEA-ში რომელიმე სახის ავეჯის დამზადებას გადაწყვეტენ, პირველ რიგში ადგენენ ფასს, ხოლო ფასის მიხედვით ქმნიან ახალ მოდელს. მათ ძალიან მკაცრი საფასო პოლიტიკა აქვთ. ბრტყელი შეფუთვებით და იმით, თუ როგორ ამაყოფს ამ შეფუთვებით ბრენდი, ნებისმიერ ადამიანს გამოტყდილი აქვს ყურები. ხოლო იმაზე, რომ ყველა მაღაზია მდებარეობს გარეუბანში, აგრეთვე იმალება ბრენდის მენეჯერებისა და მისი მიმდევრების მისწრაფება გახადონ ფასები უფრო დაბალი. რადგან გარეუბანში მიწა გაცილებით იაფია, შესაბამისად საქონლის ფასიც კლებულობს. ყველა მაღაზია ისეა მოწყობილი, რომ მყიდველი იძულებულია გაიაროს მთელი მაღაზია. მუდმივი მომხმარებლისთვის არსებობს მოკლე გასასვლელებიც, მაგრამ შეუმჩნეველი, რომელიც მხოლოდ მუდმივმა კლიენტებმა იციან.

ბრტყელ ყუთებში შეფუთული ავეჯის წარმოების იდეა კომპანიის დამაარსებელს დაებადა, როცა დაინახა, როგორ მოაძრო მისმა თანამშრომელმა სკამს ფეხი, რათა იგი როგორმე მოეთავსებინა მანქანაში. მრეწველის აზრით, მოდური და თანამედროვე დიზაინერების ბევრი მეთოდი ავეჯს აძვირებს და ამდენად, ძნელად შესაძენს ხდის. სწორედ ამიტომ იკვას დიზაინერები კარგად უნდა ერკვეოდნენ ავეჯის წარმოების მთელ ჯაჭვში, იდეიდან - მომხმარებლისათვის მიწოდებამდე. სწორედ ეს ესმარება დიზაინერს, გაიგოს ფასწარმოქმნის პროცესი. ფასი კი თავის მხრივ, რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად დაბალი უნდა იყოს. სწორედ ამით არის განთქმული იკეას ნაწარმი. მისი ავეჯი ნახევარფაბრიკატების სახითაც იყიდება. ავეჯის წარმოებაზე დაკვეთები მთელ მსოფლიოში იგზავნება. კომპანია ეძებს ისეთ პარტნიორებს, რომლებიც უფრო იაფად შეუსრულებენ შეკვეთებს.

კომპანიაში მიღებულია აქცენტის გაკეთება წარმომავლობაზე - “ჩვენ შედეგითიდან ვართ, არანორმალურად ვამაყოფთ ამით და ყველანაირად ვცდილობთ აღვადგინოთ შედეგითი აქ თქვენთან”.

კომპანია ცდილობს რაც შეიძლება მეტი საქონელი და ინტერიერის ნივთი გაეიდოს, თუმცა ამას აკეთებს სიყვარულით: ზრუნავს რა ადამიანების კომფორტზე და თვალისწინებს, სულ მცირე, მათ სისუსტეებსაც კი, ავეჯის მსოფლიო ბრენდი დღეს ლიდერია თავის სექტორში.

საინტერესოა რატომ არ არის შემოსული ასეთი პოპულარული ბრენდი საქართველოში?

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერს შევდეთიდან ვერ ჩამოიტანენ, აუჯის შემტეხობა აქ უნდა დამზადდეს და იაფი უნდა იყოს, ამისათვის კი მთელი ინდუსტრიის გამართვაა საჭირო იკეასთვის, რასაც მილიონების ინვესტიცია სჭირდება. ჩემი აზრით ეკონომიკურად საქართველოში ასეთი პროექტი საკმაოდ მომგებიანი იქნება. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბიზნესის კეთების გაიოლების კუთხით და ეს საერთაშორისო კვლევებითაც არის დადასტურებული. თუ იკეა საქართველოში შემოვა მას ქარხნის და საწყოების აშენება დასჭირდება, რითაც განვითარდება ინფრასტრუქტურა; ხელი შეეწეობა დასაქმებას, ეს მათთვისაც მომგებიანი იქნება, რადგან მუშახელი არც თუ ისე ძვირი ღირს. საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტს კი კეკასის სხვადასხვა ქვეყანაშიც წარმატებით შეძლებს. საქართველო არის რეგიონალური ცენტრი აზერბაიჯანისათვის, თურქეთისათვის, უკრაინისთვის, სომხეთისთვის და კომპანია ბიზნეს პარტნიორების მოძიებას ადვილად შეძლებს.

თუ IKEA ადგილობრივ ბაზარზე შემოვა მისი კონკურენტები "ემბაუდი", "ბედუქსი", "ჩემი სახლი" და სხვა პატარა ფირმები იქნებიან, თუმცა იგი ნამდვილად შეძლებს ამ კომპანიებისათვის ღირსეული კონკურენციის გაწევას, რადგან პროდუქციის ხარისხი ფასთან შედარებით იდეალურია. ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებში კი ფასი საკმაოდ მაღალია, ამიტომ კომპანიები ხშირად მიმართავენ ფასდაკლებების აქციებს და ცდილობენ პროდუქცია დაბალ ფასად მიიღონ გაყიდონ. ასევე ცდილობენ თავიანთი ტაქტიკით მომხმარებელს უფრო გაუადვილონ აუჯის შეძენა, კერძოდ, ისინი აუჯის კომპლექტებს ცალკე ყიდიან, რაც მომხმარებელს გადაწყვეტილების მიღებას უადვილებს.

ამჟამად კომპანიის კატალოგის მილიონობით ეგზემპლარი 34 ენაზე იბეჭდება და იმ ქვეყნებში ვრცელდება, სადაც მისი მაღაზიები არსებობს. მისი პრინციპის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ კატალოგში მოცემულ ფასებს ერთი წლის განმავლობაში არაფერი არ ემატება. კატალოგის იდეა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა კომპანიისათვის და იგი დღეს იკეას ბიზნესის განუყოფელი ელემენტია, ისევე როგორც ასაწობი აუჯის კონცეფცია, რომელმაც ბიზნესს არნახელი წარმატება და მოგება მოუტანა. დღესდღეისობით იკეას აუჯის დაბალ ფასებს ის განაპირობებს, რომ ყუთებში შეფუთული აუჯის ტრანსპორტირება მყიდველს საკუთარი ავტომანქანით უპრობლემოდ შეუძლია და მის ასაწობად ხელოსნების გამოძახებაც კი არ სჭირდება, რადგან აუჯს თან მოჰყვება აწყოების ინსტრუქცია, რომლის საშუალებებითაც მისი სახლში აწყობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია IKEA საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ჯერ არ შემოსულა, მისი პროდუქციის შექმენა და იმპორტი ვებ-გვერდის მეშვეობით არის შესაძლებელი, თქვენს მიერ შერჩეული ავეჯი სულ რაღაც ერთ კვირაში თქვენს სახლსა თუ აგარაკს დაამშვენებს.

იკეა თითქმის ყველა ქვეყანაშია პოპულარული და რატომღაც საქართველოში ჯერ-ჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა. არადა ჩემი აზრით მოთხოვნა ნამდვილად დიდი იქნება.

ბამოქმენებული ლიტერატურა

1. ნატროშვილი ნ. *ავეჯის ბაზარი გამოცოცხლდა*. 24საათი. www.24saati.ge (24.02.2012)
2. ნატროშვილი ნ. *სიახლე ავეჯის ბაზარზე*. 24საათი. www.24saati.ge (24.02.2012)
3. ქვლივიძე ნ. *ავეჯი იყიდება ცოტა და იაფიანი*. კვირის პალიტრა. www.kvirispalitra.ge (25.02.2012)
4. “ფორბსმა” მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბრენდების სია გამოაქვეყნა www.commersant.ge (23.02.2012)
5. www.ikea.com

შორენა ქურდაძე

გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტი

საბარეო ეკონომიკური ურთიერთობების როლი ეკონომიკის უწყობიანობის ამაღლებაში

თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან მიერთება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვება და სამეურნეო კავშირების განმტკიცება, კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამ პროცესების გადრეკილებას და გაფართოვებას ხელი შეუწყო მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა და ეროვნული სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაციამ.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ეფექტურობა შესაძლოა განისაზღვროს, საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციაზე გაწეული შრომის დანახარჯების დონის შედარებით, იმ პროდუქტის წარმოებაზე გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან, რომელიც შესაძლოა ჩანაცვლდეს იმპორტით. ცხადია, თუ დანახარჯები, რომელიც აუცილებელია საზღვარგარეთ გარკვეული რაოდენობის საქონლის შესაქმნად, ნაკლებია ვიდრე იმავე საქონლის ქვეყანაში წარმოებისათვის საჭირო ხარჯები, მიღწეული გარკვეული ეკონომიკური ეფექტი. მაგალითად, არის შესაძლებლობა საზღვარგარეთ შექმნილ იქნას ნედლეულისა და სურსათის არა მხოლოდ ის სახეობები, რომლებიც ბუნებრივ გარემოებათა გამო ვერ იქნება წარმოებული მოცემულ ქვეყანაში, არამედ ისეთიც, რომლებსაც ქვეყანა მართალია აწარმოებს, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ის უფრო იაფია. ამგვარი საქონლის შესყიდვა ქვეყნებში, სადაც მათი წარმოებისათვის უკეთესი პირობებია, შესაძლებელს ხდის უარი ითქვას სერიოზული დაბანდების განხორციელებაზე ისეთი საბადოების დასამუშავებლად, რომლებშიც სასარგებლო წილისეული ნაკლებეფექტურადაა განლაგებული, ან უარი ვთქვათ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, რომლისათვისაც არასაკმარისად ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ა.ს.მ.ტი, ცდილობდა რა დაეხსნათ, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნავდა: “თუ რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაღაც საქონლით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე თავად შევძლებდით მის წარმოებას, ბევრად უმჯობესია შევისყიდოთ იგი მისგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის რაღაც ნაწილით, რომელიც განხორციელებულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვუღობთ”.


ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის დ. რიკარდოს თეორიის მიხედვით ყველა ქვეყანა ნახავს სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობიდან, გამოიყენებს რა

განსხვავებას წარმოების დანახარჯებში. მაგრამ, სმიტისგან განსხვავებით, რომელიც ოპერირებს აბსოლუტური კატეგორიებით, რიკარდოს შემოაქვს დანახარჯებში ფარდობითი ცნების უპირატესობა. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: პორტუგალიაში ღვინის გარკვეული რაოდენობის წარმოება მოითხოვს 80 ადამიანის შრომას წლის განმავლობაში, ხოლო მაუდის წარმოება დროის იმავე პერიოდში - 90 ადამიანის შრომას. ინგლისში ღვინის იმავე რაოდენობის საწარმოებლად საჭიროა 120 ადამიანის შრომა, ხოლო მაუდის წარმოებას დასჭირდება 100 ადამიანის შრომა. პორტუგალიისათვის მომგებიანი იქნება გაიტანოს ღვინო ინგლისში და გადაცვალოს მაუდში, თუმცა შექმლო მაუდი თავადაც ეწარმოებინა შრომის უფრო ნაკლები დანახარჯით ვიდრე ამას ახერხებს ინგლისი. საქმე იმაშია რომ გადაანაცვლებს რა კაპიტალსა და შრომას მაუდის წარმოების ბიზნესიდან მეღვინეობაში, ანუ დარგში, რომელშიც ინგლისთან მიმართებაში მეტ ფარდობით უპირატესობას ფლობს, პორტუგალია ღვინის მაუდში გადაცვლის გზით, შესძლებს მიიღოს მაუდი და იგი მას რეალურად დაუჯდება მხოლოდ 80 ადამიანის შრომა, ანუ მიაღწევს 10 ადამიანის შრომის ეკონომიას. გაცვლა ინგლისისათვისაც მომგებიანი იქნება, რადგანაც მას უკვე შეუძლია მოახდინოს რა მთელი რესურსის კონცენტრირება მაუდის წარმოებაზე, მასზე გადაცვლით მიიღოს ღვინის გარკვეული რაოდენობა რომელშიც ის დახარჯავს არა 120, არამედ მხოლოდ 100 ადამიანის შრომას.

რიკარდოს თეორია დღეს ცნობილია წარმოების ფარდობითი დანახარჯების თეორიის სახით. იგი ამოდის სახვადსხვა ქვეყნებში გარკვეული საქონლის წარმოების დანახარჯებში ფაქტობრივად არსებული განსხვავებებიდან. მაგრამ, გვერდს უვლის ამ განსხვავებათა წარმოქმნის მიზეზებს. ბუნებრივი პირობები ერთერთი მიზეზთაგანია ამ განსხვავებათა არსებობისა. მაგრამ მთავარი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს დანახარჯთა დონეზე არის წარმოების ტექნიკური დონე. აგრეთვე მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის სტრუქტურა. ამიტომაც, მსოფლიო ბაზარზე გადაამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გასაღების კუთხით უპირატესობას უდაოდ ფლობენ ქვეყნები ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონით. საწარმოო ძალების ზრდის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სფეროებშია კონცენტრირებული მოცემული ქვეყნის წარმოება. თუ ლაპარაკია სოფლის მეურნეობაზე, ამ დარგის შესაძლებლობა წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფის ზრდის პირობებში, მოიზიდოს დამატებითი სამუშაო ძალა, უკიდურესად შეზღუდულია. ფარდობითი დანახარჯების თეორიის მომხრეები, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, დიდი ხნის განმავლობაში ურწევდნენ უპირატესად სოფლის მეურნეობაზე სპეციალიზირებას, რასაც ფაქტობრივად უნდა გამოეწვია (და ასეც არის) ფარული აგრარული ჭარბმოსახლეობის ზრდა ამ ქვეყნებში. თანამედროვე მრეწველობის დარგების

არარსებობა დღემდე უშლის ხელს განვითარებად ქვეყნებს რაციონალურად გამოიყენოს შრომისუნარიანი მოსახლეობა.


საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება 2006-2011 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით (იხ. დიაგრამა №1).



დიაგრამა №1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები

როგორც ზემოთ მოყვანილ დიაგრამა №1-დან ჩანს, სავაჭრო დეფიციტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, მისი წილი მილიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2007 წლის შემდეგ ტენდენციურად კლებადია და ახლა 52.7 პროცენტი შეადგინა. 2011 წელს ათი უმსხვილესი პარტნიორის სავაჭრო წილმა 67 პროცენტი შეადგინა. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებად კი კვლავ თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა რჩება (იხ. დიაგრამა №2).

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2011 წელს
(მლნ. აშშ დოლარი)



დიაგრამა №2. საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2010 წელს

საქართველოში 2011 წელს უმსხვილესი საქსპორტო პროდუქციის ათეულიდან ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა თხილის (103 პროცენტი), აზოტოვანი სასუქებისა (100 პროცენტი) და მსუბუქი ავტომობილების (98 პროცენტი) სასაქონლო ჯგუფების ექსპორტში. ხოლო, უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი საქართველოში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, მის შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები.

როგორც ვხედავთ საქართველოში ექსპორტის მანევრების ზრდის დადებითი ტენდენციის მიუხედავად, მისი მნიშვნელობა მაინც აშკარად ჩამორჩება იმპორტს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი კი შეუქცევადია და მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს სამეურნეო რეფორმების რეალიზაცია. ამ ფონზე აქტუალურია ქვეყნებისა და სამეურნეო სისტემების მონაწილეობის გაფართოების პრობლემა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს საქმე ჩვენთვის ახალია, რადგან საუკუნის სამი მეოთხედის მანძილზე, ჩვენი ეკონომიკა დამოუკიდებელი სავაჭრო ურთიერთობებიდან ფაქტობრივად ჩამოცილებული აღმოჩნდა. ახალი საქმის თავიდან დაწყება კი ყოველთვის სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ჩვენ ვგჭირდება გამოცდილება ამ

საქმეში, შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონე და ტექნოლოგია იმისათვის, რომ განვავითაროთ. ქვეყანა ჯერ კიდევ იძულებულია ორიენტაცია იქონიოს მსოფლიოს სხვა ქვეყნების დახმარებაზე სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მიერ შეღავათიან კრედიტებზე. ვფიქრობ, რომ საჭიროა მკაცრად გავითვალისწინოთ ა. სმიტისა და დ. რიკარდოს თეორიები და საქართველოში მხოლოდ ის საქონელი და მომსახურება იქნეს იმპორტირებული, რომლის წარმოებაც ქვეყნის ფარგლებში უფრო ძვირი დაჯდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე. ზარანდია ჯ. 2007. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა. თბილისი.
2. ხაღური ნ. 2009. მაკროეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი.
3. საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge (23.02.2012).

სოფიო ცენტრადე

*გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის I დონის სტუდენტო*

ენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას და ამ გამოწვევებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური დათბობაა, რამაც კაცობრიობა შესაძლებელია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. უარყოფითი შედეგები უკვე სახეზეა და ისინი ყოველწლიურად უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენენ. პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ აღიარა, რომ ამ პრობლემას სასწრაფოდ სჭირდება გადაწყვეტა. ამ მიმართულებით მიღებულია საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები, რომელთაც კანონის ძალა გააჩნიათ და რომელთა შესრულებისათვის ძალისხმევას არ იშურებენ განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები და შესაბამისი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიკუთვნება მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების რიგებს თავისი ფინანსური თუ სხვა რესურსებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში საქართველომაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. საქართველო პატარა ქვეყანაა და მისი წვლილი თითქოს მცირე უნდა იყოს, მაგრამ თუ გაეთვალისწინებთ საკმაოდ მნიშვნელოვან პოტენციალს განახლებადი და, პირველ რიგში, პიდროენერგეტიკული რესურსებისა, შესაძლებელია მან რეგიონულ ჭრილში ამ მიმართულებით ლიდერის როლიც კი შეასრულოს. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი ჩვენი ქვეყნის განახლებადი ენერგეტიკული რესურსების შესახებ. საქართველოში კვლევები ამ მიმართულებით გასული საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს. პიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი ტექნიკური პოტენციალის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მთელ მსოფლიოში. მთელი ჩამონადენის წლიური თეორიული ენერგია საქართველოში 220 მლრდ. კვტ.სთ-ია, სიმძლავრე-26.1 ათასი მგტ. მდინარეთა ძირითადი ნაწილის პოტენციური ენერგია 137 მლრდ. კვტ.სთ-ია (13.6 მლნ ტნეწ), სიმძლავრე-15.6 ათასი მგტ. მდინარეების ჩამონადენის ჯამური პოტენციალი მეტად მცირე მდინარეების პოტენციალთან ერთად 160 მლრდ. კვტ.სთ-ია, სიმძლავრე-18.3 ათასი მგტ. ძირითადი მდინარეების საშუალო წლიური ტექნიკური პიდროენერგეტიკული პოტენციალი 80-85 მლრდ. კვტ.სთ-ის ფარგლებშია (6.9-7.4 მლნ. ტნეწ), ეკონომიკურად ეფექტიანი ნაწილის საფარადლო პოტენციალი კი დაახლოებით 32-50 მლრდ. კვტ.სთ-ის უტოლდება. ამ პოტენციალში საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მცირე ენერგეტიკაზე მოდის, რომელიც განახლებადი ენერგეტიკის კატეგორიას მიეკუთვნება

ამჟამად ენერგობაზარზე 13 ჰესი-ლიცენზიანტია. მათ მიერ გამოთქმული ელექტროენერგია იცვლება ენერგობაზრის შეკვეთის და მოხმარებული ენერჯის საფასურის ამოღების მიხედვით. ასევე მცირე ელექტროსადგურების რაოდენობა 27მდეა. მცირე ჰესების წილი ჰესების მთელ ჯამურ სიმძლავრეში 3.1% შეადგენს, ელექტროენერჯის გამოთქმევაში - 5.35%, გამოთქმევის წლიურ საერთო ბალანსში (თბოელექტროსადგურების ჩათვლით) - 3.8%, სიმძლავრეში კი - 1.9%. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების განვითარებას ხელს უწყობს: ზოგადად ეკონომიკის განვითარება, ეკონომიკის იმ დარგების განვითარება, რომელშიც ელექტრო ენერჯის მოხმარება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა (რაც მეტია მომხმარებელი მით მეტი ელექტროენერჯია იქნება საჭირო), ავტოწარმოების ტენდენცია (ენერჯის მნიშვნელოვან მომხმარებლებს წარმოადგენენ ავტომობილები და თუ ისინი ჰიბრიდულ საწვავზე გადავლენ ელექტრო ენერჯიაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება). ელექტროენერჯის წარმოებით გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა დაკავებულნი არიან ასევე განახლებადი ენერჯის წყაროებში შემავალი ქარის, მზის, გეოთერმულ წყლებზე მომუშავე დანადგარები. ქვეყნებში, რომლებიც მდიდარნი არიან გაზითა და ნავთობპროდუქტებით ელექტრო ენერჯის წარმოება ძირითადად თბოელექტროსადგურებში ხდება, ასეთი ქვეყნებია რუსეთი, ნიგერია, ვენესუელა, არაბეთის ქვეყნები და ა.შ. მთელ რიგ ქვეყნებში, ძირითადად კი განვითარებულ ქვეყნებში ენერჯის მნიშვნელოვან ნაწილს ატომური ელექტროსადგურები აწარმოებენ, მაგალითად საფრანგეთი, რომლის ენერჯადამოკიდებლობა დიდადაა დამოკიდებული აესებში წარმოებულ ელექტროენერჯიაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე თბოელექტროსადგურები და ატომური ელექტროსადგურები შეგვიძლია ჰიდროელექტროსადგურების მონათესავე დარგებად ჩავთვალოთ. რაც შეეხება საქართველოს ენერჯოსისტემას, ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერჯია მხოლოდ თბო- და ჰიდროელექტროსადგურებში იწარმოება, ატომური ელექტროსადგური საქართველოში არ ფუნქციონირებს.

სტაბილური ეკონომიკური ზრდის შედეგად თანდათანობით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე. ვფიქრობთ, რომ 2015-2016 წლისათვის დაიწყება ელექტრომობილების მასიური წარმოება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას ელექტროენერჯიაზე. ელექტროენერჯეტიკაში დაუტვირთავი, ე.წ. „ჭარბი“ დადგმული სიმძლავრე ანუ ელექტროსადგურების პოტენციალური შესაძლებლობა 30%ით მაინც უნდა სჭარბობდეს ნომინალურ მოთხოვნას. დღეისთვის საქართველოში 40 ჰესის მშენებლობის პროექტი ხორციელდება, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 1872 მეგეტ-ია ხოლო საშუალო წლიური გამოთქმევა 7350 მლნ კვტ/სთ-ს აჭარბებს. აღნიშნულ პროექტებში განსახორციელებელი სავარაუდო ინვესტიცია 3 მილიარდ აშშ დოლლარს აღწევს. ჰიდროელექტროსადგურების ძირითადი ნაწილის მშენებლობა 2018

წლისთვის დასრულდება. ენერგეტიკა ისეთ ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკაში რომელსაც გააქვს აქვს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შედეგებზე, ასევე ის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პოტენციური იარაღი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასათვის. ენერგო უსაფრთხოების გაძლიერება ენერგორესურსების იმპორტის ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგის ძირითად მოტივს წარმოადგენს, მაშინ როცა ენერგო ექსპორტის ქვეყნების პოლიტიკის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს სტაბილური ბაზრებით უზრუნველყოფა. ნავთობით და ენერგო მასალებით სტაბილური უზრუნველყოფა, საომარი ვითარების ჩათვლით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამხედრო დაგეგმარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. როდესაც საერთაშორისო ენერგო ბაზრის პირობებში ვითარება იძაბება, ენერგეტიკას ტენდენცია აქვს გამორჩეულ ფაქტორად იქცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში და ყველაზე მაღალი პრიორიტეტი მიენიჭოს მას პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – www.minenergy.gov.ge
2. თაყაძე ვ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ. 2006. *ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა*. თბილისი.
3. პროფესიონალური საკონსულტაციო მომსახურება – ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა და პროექტები: ენერგოსექტორის განვითარების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება, საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2007 წლის დეკემბერი.
4. არველაძე რ. კერესელიძე ნ. 2000. XX საუკუნის ენერგეტიკა – მისი შემდგომი პრობლემები და პერსპექტივები. *ენერგია*. № 4. 3-13.
5. www.minenergy.gov.ge
6. <http://georgia.usaid.gov/ka/node/31>
7. www.energo-pro.ge
8. www.telasi.ge
9. www.esco.ge

თინათინ თინიკაშვილი

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II დონის სტუდენტი*

**კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
და მისი ღაღაბითი შედეგები**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility-CSR) წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც, ბიზნეს სექტორი ნებაყოფლობით ითვალისწინებს საკუთარი მომხმარებლების, მომწოდებლების, თანამშრომლების, კოლეგების, ბიზნეს-პარტნიორების და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს ბიზნეს ოპერაციების განხორციელებისას. ეს არის კომპანიის კეთილი ნების საფუძველზე აღებული პასუხისმგებლობა და არა სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმებით დაკისრებული ვალდებულება. კომპანიები, რომლებიც აკონტროლებენ იმ ზემოქმედებას, რომელსაც ისინი ახდენენ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე, თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და ზოგადად გარემოსა და საზოგადოებაზე, შეუძლიათ იყვნენ უფრო წარმატებულები თვითონაც და ამავე დროს დადებითი ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზეც.

CSR-ის საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლებია:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ნებაყოფლობითი არჩევანი, რომლის დანერგვასაც მოაქვს ყველა დაინტერესებული მხარისათვის მრავალფეროვანი და გრძელვადიანი სარგებელი;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელ კანონებთან შესაბამისობას, დამატებით ნებაყოფლობით საფუძველზე აღებულ პასუხისმგებლობას და არა საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების ჩანაცვლებას;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად შეტანილი წვლილი, რომელიც აერთიანებს სამ ასპექტს - ეკონომიკურს, სოციალურს და ეკოლოგიურს;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის არა „დამატებითი“ საქმიანობა ბიზნესისათვის, არამედ იგი არის თვით ბიზნესის მართვის ახალი მეთოდი;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის უბრალო და ვიწრო საქმიანობა, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ქველმოქმედებას,

სონსორობას და ა.შ. იგი წარმოადგენს ბევრად უფრო ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილს კომპონენტების სახით [1, 4-5].

მიუხედავად იმისა, რომ ეს მახასიათებლები არის საყოველთაოდ აღიარებული, არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში მათ განიცადონ ცვლილება, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, CSR არის ბიზნესის მართვის მეთოდი; ხოლო გარემოს ცვალებადობიდან გამომდინარე, საჭიროა ცვლილებები მართვის მეთოდებსა და შესაბამისად მისი მახასიათებლებშიც.

ძირითადი კომპონენტები, რომლებსაც აერთიანებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შემდეგია:

- კორპორაციული მართვა და ეთიკა;
- თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისას ადამიანის უფლებათა დაცვა;
- შრომითი საქმიანობის ძირითადი უფლებებისა და სტანდარტების დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- სოციალური პოლიტიკა საზოგადოებასთან მიმართებით;
- ანტიკორუფციული ღონისძიებები და მექრთამეობასთან ბრძოლა;
- ადამიანური რესურსების მართვა და თანამშრომლებთან ურთიერთობის პოლიტიკა (პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, უსაფრთხო სამუშაო პირობები, სახელფასო პოლიტიკა და სხვ.);
- მომხმარებლებთან ურთიერთობა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშგება საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ.

უკანსაკნელ წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა CSR-ს, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია მისი მნიშვნელოვანი როლი გლობალური პრობლემების მოგვარებაში, საზოგადოების კეთილდროების ამაღლებაში, სოციალური, ეკოლოგიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან გასაგები ხდება, თუ რამდენად დადებითი შედეგების მომტანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CSR-ს დიდი და დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია თავად კომპანიაზე გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის, ასაკმარისია მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია, საჭიროა ასევე ბაზარზე ორიენტირებული და პასუხისმგებელი საქმიანობის განხორციელება. CSR ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს ინოვაციებს, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, მიიზიდოს ინვესტორები, გაიუმჯობესოს

ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ხაერთაშორისო სოციალურ და გარემოსდაცვით კონვენციებსა და სტანდარტებთან ნებაყოფლობით შესაბამეხასთან, მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ შესაძლებლობებთან და უპირატესობებთან შედარებით, რომლებიც მოჰყვება აღნიშნულ დონისძიებებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ CSR არის ინვესტიცია გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად და არა უბრალოდ ხარჯი. ძირითადი დადებითი შედეგები, რომლების მოტანაც შეუძლია CSR კომპანიისთვის, შემდეგია:

- რისკების სულ უფრო მზარდი მრავალფეროვნების უფრო ეფექტური პრევენცია და მართვა;
- კომპანიის დადებითი იმიჯი, გაუმჯობესებული რეპუტაცია
- მომხმარებელთა ლოიალობის ზრდა;
- კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების უკეთესი შესაძლებლობები;
- გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა;
- ცვლილებებზე რეაგირების უკეთესი უნარი;
- საქმიანობის მაღალ ეფექტურობა და დანახარჯების შემცირება;
- კაპიტალის ხელმისაწვდომობა;
- ხელისუფლების კეთილგანწყობა, გაუმჯობესებული ერთიერთობა საკანონმდებლო ორგანოებთან.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შედარებით ახალი ცნება და მოვლენაა, იგი ჩვენთან მნიშვნელოვნად დაბალ დონეზეა განვითარებული, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში დიდ როლს CSR-ის განვითარებაში თამაშობენ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. კომპანიებზე ზეწოლა ხორციელდება ასევე მომხმარებლების, პროფკავშირების, მთავრობების მხრიდან. ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ მდგომარეობა განსხვავებულია, ნაკლებია აქტიურობა იმ სუბიექტების მხრიდან რომლებიც პირიქით, საკმაოდ აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ამ პროცესში და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში. უმოქმედობას იჩენს მედია, მთავრობა, საზოგადოება, პროფკავშირები, ინვესტორები, მომხმარებლები და შრომითი ორგანიზაციები. ასევე მინიმალურია რეაქცია უპასუხისმგებლო ქმედებებზე. დაბალია სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების აღიარებისა და წახალისების ხარისხი დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან, რაც კიდევ უფრო ამცირებს კომპანიების მოტივაციას. მიუხედავად ამისა, გლობალიზაციისა და მზარდი კონკურენციის გამო, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც, CSR-ს აქვს განვითარების დიდი პოტენციალი.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მსხვილი ქართული კომპანიების უმეტესობა მზად არის და განწყობილია უფრო მეტი პასუხისმგებლობით იმოქმედოს სათანადო აღიარების და წახალისების შემთხვევაში. ამიტომ საჭიროა საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის გაითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. უნდა მოხდეს ბიზნესის პასუხისმგებელი ქცევის სტიმულირება და მხარდაჭერა, კომპანიების ინფორმირება და ცოდნის გადრმაგება CSR საკითხებზე; 2. CSR-ის განვითარებაში მთავრობის აქტიური ჩართულობა, სწორი სახელმწიფო ხელშეწყობი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ქვეყნის განვითარებისათვის მისი მნიშვნელობის წარმოჩენა. ის ძირითადი დადებითი შედეგები, რომლის მოტანაც შეუძლია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას მთლიანად ქვეყნისათვის, არის შემდეგი:

ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების გადრმაგება: CSR-ს სულ უფრო მზარდ ყურადღებას ანიჭებს ევროკავშირი და ზოგადად მთელი მსოფლიო, ხელმოწერილია მრავალი მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, შემუშავებული და დანერგილია საერთაშორისოდ შეთანხმებული სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს CSR-ის განვითარება.

საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა ინიციატივების წევრია, მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს CSR განვითარება, მისი სხვადასხვა კომპონენტების (აღამიანის უფლებების, შრომითი უფლებები, გარემოს დაცვის და სხვ.) ბიზნეს კომპანიის თუ სხვა ინსტიტუტების მიერ განხორციელების დარეგულირება და ა.შ. ამიტომ, CSR-ის განვითარებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესების, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების, გადრმაგებისა და გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის, და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უკეთ შესრულების მხრივ [4].

ქვეყნის საერთო განვითარება და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება: ამ თვალსაზრისით CSR-ს შეუძლია ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა:

- ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარება: იმისათვის, რომ მთავრობამ შეძლოს სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამის გატარება, საჭიროა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობი პოლიტიკის გატარებაც. CSR-ის პოლიტიკის ხელშეწყობით საქართველოს მთავრობას მიეცემა შესაძლებლობა მოაგვაროს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, სიღარიბე.

უმუშევრობა, დაბალი შობადობა, საქმიანობის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა - ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, პროდუქციაზე პასუხისმგებლობის და ა.შ. ასევე CSR-ის განვითარებას შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებაში, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა.

- კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაცვა: იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ახორციელებს ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბიზნეს საქმიანობისადმი კანონმდებლობით წაყენებული მოთხოვნები საკმაოდ დაბალია, CSR შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ეფექტური მექანიზმი ბიზნეს საქმიანობის ზეგავლენის მართვისა და მინიმალური სტანდარტების უფრო ეფექტური დანერგვისათვის. ეს მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნისათვის, რადგან შესაძლებელი ხდება ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს მოითხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებსაც მიერთებულია საქართველო და დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს უფრო ქმედით ინტეგრირებაზე საერთაშორისო სტრუქტურებში.
- ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა: როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესში CSR განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ გვსურს მოვიზიდოთ ინვესტორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან, რადგან მათი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების შესრულებას. გარდა ამისა, CSR-ის შემადგენელი კომპონენტის, კერძოდ პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას. CSR განვითარება მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიწოდების ჯაჭვებში.

ამრიგად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე.

საჯარო სექტორმა უნდა განახორციელოს მართებული ნაბიჯები იმისათვის, რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის CSR შეიძლება გახდეს ის მძლავრი იარაღი, რომელიც შეძლებს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას. აქედან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია CSR განვითარება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ხოფერია ღ. 2011. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი. *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი № 120.*
2. თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება). 2007. *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.*
3. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა. 2007. *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.*
4. New Policy on Corporate Social Responsibility. 2011. European Commission, http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr/new-csr/act_en.pdf

Grigol Robakidze University

Scientific Herald

Law

Business and Management

Special Edition

Tbilisi 2012

Editorial Board:

Mamuka Tavkheldize - **Editor-in-chief** (Tbilisi, Georgia)
